მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა“-ს და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

დღიური

— მოსკოვში გარდაიცვალა ყოფ. გენ. ბრუსილოვი.
— ინდუსი ნაციონალისტები განაგრძობენ ინდოეთის ადგილობრივი პარლამენტების ბოიკოტს.
— სენის დეპარტამენტში (საფრანგეთში) ქალები კომუნისტებს აძლევენ ხმას არჩევნების დროს.
— ჩეხო-სლოვაკიაში მთავრობის კრიზისი გრძელდება.
— დაიხურა საგემო კომისიათა პრეზიდიუმების საკავშირო თათბირი.

შაბათი, 20 მარტი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 62 (1517)

დღეს, 20 მარტს, საღამოს 6 საათზე
მ/გ. ინსპექციის შენობაში (რუსთაველის, პრ 24, მესამე სართული)

გაიხსნება
საქ. კომ. პარტ. ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმი

დასწრება ყველა ც. ს. კ. წევრების და კანდიდატების სავალდებულოა

ც. ს. კ. თავმჯდომარე: **ა. დოლიძე.**

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა გადავიდა ახალ ბინაზე რუსთაველის პროსპ. 34

„კომუნისტი“-ს ყველა ხელის მომწერლებს დღევანდელ ნომერთან ერთად ურიგდებათ

უფასო დამატება

„მეცნიერება და ტეხნიკა“ № 5

ერთა ლიგის გაკოტრება

ეს ორგანიზაცია დიდი ხანია გაკოტრებულია საბჭოთა კავშირის მშრომელთა, ევროპის რევოლიუციონურ პროლეტარიატის და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა თვალში. ერთა ლიგამ მთელი თავისი მოქმედებით აშკარა ჰყო, რომ იგი ერთა შორის სამართლიანი ურთიერთობის მომწესრიგებელი და მშვიდობიანობის განმამტკიცებელი ორგანო კი არ არის, როგორც ამას თვალთმაქცურად იწმუნებიან მისი სულისჩამდგმელები, არამედ იმპერიალიზმის აპარატი და სუსტ ქვეყნების დამმონებელი დაწესებულებაა და ახალი ომის წარმოშობას უწყობს ხელს.

ერთა ლიგის ეხლანდელმა სესიამ მის ნამდვილ ბუნებაზე თვალი აუხილა იმათაც, რომელთაც კიდევ ჰქონდათ რაიმე რწმენა ამ ორგანიზაციისადმი. მან გამოააშკარავა იმპერიალისტურ ქვეყნების ინტერესთა გადაულახავი წინააღმდეგობანი და ლიგის სრული უძლურება მათი შერიგების საქმეში. უშედეგოდ დამთავრებულმა სესიამ ლახვარი ჩასცა ერთა ლიგის ავტორიტეტს და იგი დაშლის წინაშე დააყენა.

ლიგის სესიის მთავარ საკითხს, როგორც ვიცით, შეადგენდა გერმანიის მიღება თავის „ოჯახში“. ეს გამომდინარეობდა ლოკარნოს ხელშეკრულებიდან, რომელიც ძალაში შევიდოდა მხოლოდ ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შემდეგ. ჟენევის სესიაზე არა მარტო ლიგის პრესტიჟი დაეცა, არამედ მასთან ერთად ლოკარნოს ხუხულაც შეინგრა. თვით „ფორვერტსი“ იძულებულია განაცხადოს, რომ ლოკარნოს შენობიდან მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა. ეს მაშინ, როცა „ფორვერტსი“, და მთელი ბურჟუაზიულ - შემთანხმებელი პრესა, ისე როგორც ევროპის სახელმწიფო „მოღვაწენი“ ლოკარნოდან იწყებდნენ ისტორიის ახალ ეპოქას, მას სთვლიდნენ იმ ჯადოდ, რომელსაც უნდა მოეწესრიგებია სახელმწიფოთა მშვიდობიანი დამოკიდებულება.

არაფერს ნიშნავს ლოკარნოს აქტზე ხელისმომწერ სახელმწიფოთა, მათ შორის გერმანიის, დეკლარაცია, რომ, მიუხედავათ ლიგის ცდის დამარცხებისა გერმანია გაეხადა თავის წევრად, ლოკარნოს ხელშეკრულება ძალაში რჩება და ისინი ილტვიან მის საფუძველზე მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ. ეს განცხადება მხოლოდ მიზნათ ისახავს დაფაროს ლოკარნოს მარცხი და დაამშვიდოს „საზოგადოებრივი აზრი“.

მკითხველმა უკვე იცის, თუ რა ბრძოლა გაიმართა ინგლის-საფრანგეთ შორის ერთა ლიგაში გერმანიის მიღების საკითხის გარშემო. გერმანიასთან ერთად სხვა სახელმწიფოებმაც მოითხოვეს მუდმივი ადგილის მინიჭება ლიგის საბჭოში, განსაკუთრებით საფრანგეთის მომხრე ქვეყნება, რომ ამით გაექარწყლებიათ გერმანიის როლი ერთა ლიგაში და იქ ინგლისის პოზიციაც შერყეულიყო, ინგლისის, რომელიც გაბატონებულია ამ დაწესებულებაში და ყველაზე უფრო დაინტერესებულია როგორც ამ ხელმძღვანელ როლის შენარჩუნებაში, ისე ლოკარნოს ხელშეკრულების შედეგების განმტკიცებაში. რათა ამ საშვებით უზრუნველჰყოს თავისი ჰეგემონია ევროპაზე და კერძოდ საფრანგეთზე.

ინგლის-საფრანგეთ შორის თითქო მოხდა კომპრომისი, რომლის მიხედვით გერმანიასთან ერთად პოლონეთიც უნდა შეეყვანათ ერთა ლიგის საბჭოში. მაგრამ აქ შეიქმნა ახალი მომენტი. თავი წამოყო ბრაზილიამ, რომელმაც გადაჭრით მოითხოვა მისთვის ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიკუთვნება და, როცა ეს წინადადება არ გავიდა, ერთა ლიგაში გერმანიის დაშვების წინააღმდეგ მისცა ხმა. ეს საკმარისი იყო, რომ გერმანია არ მიეღოთ ერთა ლიგაში, რადგან, ლიგის წესდების თანახმად, ახალი წევრის მიღება ერთხმად უნდა იქნეს დადასტურებული ლიგის წევრების მიერ.

ცხადია, რომ ბრაზილია დამოუკიდებლად არ მოქმედობს. მას ზურგს უმაგრებს, პირველ ყოვლისა, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები. როგორც ლოკარნო, ისე ერთა ლიგა უპირდაპირდება ამერიკას. ორივეს აკისრებენ ამერიკის გავლენისაგან ევროპის განთავისუფლებას უკანასკნელის სახელმწიფოთა ბლოკის შექმნის გზით. ვაშინგტონი, რა თქმა უნდა, ამას ვერ დაუშვებს და იგი შეეცდება ერთა ლიგის და ლოკარნოს გამოყენებას თავის ინტერესებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში—მათ დაშლას. ბრაზილია მან სწორედ ამ მიზნით აამოქმედა.

ბრაზილიის ხსენებულ პოზიციაში არანაკლები როლი ითამაშა იტალიამ. იტალია-გერმანიას შორის ტიროლის საკითხის გარშემო ამას წინად მომხდარმა ინციდენტმა ცხადჰყო მუსოლინისათვის, რომ გერმანია დასვამს ერთა ლიგაში თვის ეროვნულ უმცირესობათა უზრუნველყოფის და აგრეთვე თავის ყოფ. კოლონიების დაბრუნების საკითხს (ტყუილად კი არ მოითხოვს გერმანია, რომ მისი წარმომადგენელი შეყვანილ იქნეს ლიგის სამანდატო კომისიაში, რომელიც „განაგებს“ სხვადასხვა სახელმწიფოებისათვის გადაცემულ კოლონიების საქმეებს). ეს, რა თქმა უნდა, არ შეადგენს იტალიის ინტერესს და იგი მოწადინებულია, რომ გერმანია არ იქნეს შეყვანილი ერთა ლიგაში.

ჟენევის სესიამ გვიჩვენა კიდევ ერთი რამ. რა კი ლიგამ გამოაშკარავა უძლურება სხვადასხვა ქვეყნების ინტერესების შეთანხმების, კვლავ აღმოცენდა იდეა სახელმწიფოთა ჯგუფებათ დაყოფის, ცალკე კოალიციების შექმნის. ხდება მათი დაჯგუფება, როგორც ეს მსოფლიო ომამდე იყო. ეს კი ერთი ნიშანთაგანია, რომ ახალი მსოფლიო სისხლისღვრა აუცილებელია.

ჟენევაში ერთხელ კიდევ გამომჟღავნდა იმპერიალისტურ ქვეყნების ჭეშმარიტი ბუნება, მათ შორის არსებულ წინააღმდეგობა-შეურიგებლობა. დამარცხდა ლოკარნოს იდეა და ერთა ლიგა. ამას უეჭველად აქვს ის დადებითი მნიშვნელობა, რომ ხელს შეუწყობს იმ ილიუზიების გაფანტვას, რომელთაც მასებს უნერგავდენ ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია მათ შესახებ. ერთა ლიგის უკანასკნელმა სესიამ კერძოდ ზედმეტჯერ დაადასტურა საბჭოთა კავშირის მიერ ამ ორგანიზაციის და ლოკარნოს შეფასების სისწორე.

ჟენევის გაკვეთილმა უნდა გამოაფხიზლოს გერმანიის არა მარტო მუშათა კლასი, არამედ ხელმძღვანელი წრეები. არა ერთა ლიგა, არამედ საბჭოთა კავშირთან მჭიდრო შეთანხმება,—აი საითკენ მოუწოდებს მათ ჟენევის სესიის შედეგი.

ბოლოს, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ლოკარნოს „შენობის“ შენგრევა და ერთა ლიგის სახელის გატეხვა ინგლისის მნიშვნელოვანი დამარცხებაა, რაც თავის მხრივ ამტკიცებს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას.

ორი საკითხი

(ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის გამო).

დღეს გაიხსნება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი. დღის წესრიგში, სხვათა შორის, დასმულია ორი საკითხი, რომელსაც პლენუმი, ჩვენის აზრით, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას. ეს საკითხებია: 1) მუშათა და გლეხთა ინსპექციის საგეგმო დავალებათა შესრულება და მისი შედეგები; 2) ჩვენი პარტაქტივის (უმთავრესად ხელმძღვანელი ძალების) სხვადასხვა სამუშაოთი ძალზე დატვირთვა.

ამ ორი საკითხის საკონტროლო კომისიის პლენუმის დღის წესრიგში დასმა უმთავრესად გამოწვეულია იმ არანორმალური მდგომარეობით, რომელიც შემჩნეულია ამ ორ დარგში და რომლის გამოსწორება აუცილებელია საერთო მუშაობისა და საერთო ხელმძღვანელობის უკეთ წასამართავად მომავალში.

პირველის შესახებ ჩვენ გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ ვღებულობთ იმ შედეგებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეში თვალსაჩინო ცვლილების შეტანა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია გამონაკლისს არ შეადგენს: ნაკლი მუშაობისა, უეჭველად, გამომდინარეობს საერთო პირობებიდან, იგი ალბად, ჯერ-ჯერობით ყველა ინსპექციების ხვედრს შეადგენს. საერთო პირობები კი გამოიხატება იმაში, რომ საგეგმო სამუშაო პროგრამების შემუშავების დროს სათანადო ყურადღება ვერ ექცევა ადგილობრივ პირობებს, ვერ არის დაცული საჭირო და აუცილებელი ზომიერება.

ამხ. ლენინის აზრი—„ცოტა იყოს, მაგრამ უკეთესი“, ჩვენ ჯერ-ჯერობით სათანადოთ კიდევ ვერ შევითვისეთ; ბელადის შეხედულება თითქო უკუღმა შევატრიალეთ და გამოგვდის არა „ცოტა იყოს და უკეთესი“, არამედ „რაც შეიძლება მეტი იყოს და უცუდესი“.

პროგრამების სირთულე, სიმრავლე და სიდიდე თავის უარყოფით დაღს ასვამს მთელ მუშაობას, მის ხარისხს და შედეგი სადღაც ქრება, იკარგება.

ამას დაუმატეთ უმწეო ფინანსიური მდგომარეობა: მრავალი რთული საგეგმო გამოკვლევის მოსახდენად ისეთი მცირე თანხა არის ინსპექციის განკარგულებაში, რომ სანახევროდ ვერ ჰფარავს მის მოთხოვნილებას. აქედან: საგეგმო გამოკვლევისათვის დანიშნულ დროს მაქსიმალურად შემცირება, სიჩქარე, ფუსფუსი და კვალიფიკაციის დაბალი დონე უსახსრობის გამო. ყველაფერი ეს ძლიერ გავლენას ახდენს მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცეკაკას სხვა ხასიათის მუშაობაზედაც. სახეში მაქვს სხვადასხვა სახის საკონტროლო, სარევიზიო გამოკვლევანი, რომელნიც შეიცავენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატის გეგმის გარეშე ინსპექციის მუშაობას.

ამ შემთხვევაში დავალებებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია უმთავრესად ღებულობს საბჭოთა და პარტიული უმაღლესი ორგანოებიდან და ხშირად საკუთარი ინიციატივითაც გამოდის საჭიროების დროს.

ხსენებული ხასიათის მუშაობას ჩვენ იმ თავითვე დიდ ყურადღებას ვაქცევდით, იგი ძალაში რჩება ეხლაც; მაგრამ ის არანორმალური პირობები, რომლებზედაც მოკლეთ თავში ვილაპარაკეთ, ხელს უშლიან ამ მუშაობასაც; უარყოფითად მოქმედებენ მის თვისებაზე, ხარისხზე, და აქაც უსახსრობის და აჩქარების ნაყოფს ვამჩნევთ.

საგეგმო პროგრამების სირთულე და სიმრავლე, ადგილობრივ პირობებთან მათი შეფარდების სისუსტე, უსახსრობა და საერთო დავალებებით ზედმეტად დატვირთვა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ნაყოფიერ მუშაობას თავის დაღს ასვამს.

მაშასადამე, საჭიროა პირველ ყოვლისა, საგეგმო პროგრამების მაქსიმალურად შემცირება, ადგილობრივ პირობებთან მათი შეფარდება, ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება და, ყველა ამასთან ერთად, საკუთარი ინიციატივის გაღრმავება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მხრით ადგილობრივად.

ამ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლამ პლენუმზე საბოლოოდ უნდა მოგვცეს თავისუფალი არე რიცხვით უფრო ნაკლები, მაგრამ თვისებით ბევრად უფრო უკეთესად შესრულებული ნაყოფიერი მუშაობისათვის. სჯობია—**„ცოტა იყოს და უკეთესი“**, ვინემ **ბევრი და დომხალი**, ერთი-მეორეში უსისტემოდ და უთავბოლოდ არეული. აი რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება.

არა ნაკლები ყურადღების ღირსია მეორე საკითხი, რომელიც შეეხება ხელმძღვანელ პარტიულ ძალების გამუდმებულ, სრულიად განუზომელ და განუსაზღვრელ მუშაობას. აქაც წაშლილია ყოველგვარი საზღვარი, ისე გადალახულია ყოველგვარი ზომიერება, რომ გაჩუმება დანაშაული იქნებოდა.

საკონტროლო კომისიის მოვალეობაა დროსა და გარემოების მიხედვით მიუთითოს პარტიას ამ არანორმალურ მდგომარეობაზე, მისცეს მას სიგნალი, რომ აქ უსათუოდ საჭიროა კორექტივის შეტანა, საჭიროა გამომუშავება ისეთი ზომების, რომელნიც უზრუნველყოფენ როგორც ცალკე დაწესებულებათა სათავეში მდგომ პირების, ისე უმაღლესი ორგანოების სწორსა და ნორმალურ ხელმძღვანელობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეებში.

(აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ მხრით უნდა მიექცეს დიდი ყურადღება აგრეთვე მომავალ ჩვენს თაობასაც).

საკითხის გადაჭრა შეიძლება არც ისე ადვილი იყოს, მას შეიძლება უფრო ხანგრძლივი დამუშავება და შესწავლა ესაჭიროება, მაგრამ მისი წამოყენება ამ ჟამათ მაინც აუცილებელია.

პირველყოვლისა მცირედი დაკვირვების შემდეგაც კი თვალებში გეცემათ ის დაუსრულებელი, მუდმივი სხდომები, კომისიები, პლენუმები, კონფერენციები, ყრილობები და სხ., რომლებიც ერთი-მეორეს ისეთი სისწრაფით მისდევენ, რომ ხელმძღვანელი მუშაკი ფიქრსაც კი ვერ ასწრებს იმაზე, რომ მას ჩაბარებული აქვს ერთი ერთი ძირითადი ფუნქცია და, მაშასადამე, მოვალეა იზრუნოს მის პირნათლად შესრულებაზე, იზრუნოს საკუთარი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაზე და გახდეს ნამდვილი პასუხისმგებელი იმ მოვალეობის, რომელიც მას დაკისრებული აქვს.

არის ისეთი მდგომარეობა, როცა დაწესებულებას მოწყვეტილია მის სათავეში მდგომი პირი 95%-ით და არავინ იცის, ვინ ხელმძღვანელობს და ვინ მართავს იმ საქმეს, რომელიც მას ჩაბარებული აქვს.

ერთ და იმავე პირს რამოდენიმე ფუნქცია, ერთი და იგივე პირი რამოდენიმე სხდომებზე დღეში, რამოდენიმე კომისიებში, რაიონში, პროვინციაში, ყრილობებზე, პლენუმებზე, კონფერენციებზე, პრეზიდიუმებზე, კოლეგიებზე და სხვა, და ამავე პირს კიდევ აბარია რომელიმე დაწესებულება, რომელიც მის ძირითად სამუშაოს წარმოადგენს.

იღლება და იფლანგება ძალ-ღონე და ენერგია, იღლება გონება და ზარალობს საერთო ხელმძღვანელობა.

ძნელია ისეთი დაწესებულების დასახელება, რომლის შესახებ თამამად შეიძლებოდეს თქმა, რომ იქ სწორი ხელმძღვანელობა არისო. და განა შეიძლება სწორ ხელმძღვანელობაზე ლაპარაკი იქ, სადაც ადამიანს ერთი წუთიც აღარ რჩება იმისათვის, რომ იფიქროს ამაზე? მისი გონება ვეღარ ასწრებს მუშაობას ერთი მიმართულებით და, თუ თავისუფალი დრო იხელთა, ის ვეღარ ხმარობს იმას ისე, როგორც ეს საჭირო და აუცილებელია სწორი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

აქაც სიჩქარე და ზეზეურობა თავის დაღს ასვამს საერთო საქმიანობას და მრავალ დროსა და ქონებრივ შესაძლებლობასაც იწირავს დაშვებული შეცდომებისა და დეფექტების გამოსწორება.

საჭიროა ამაზე მითითება, საჭიროა დაფიქრება, რომ ყველა ცოცხალი ძალები შესაფერისად იქნენ გამოყენებული, რომ ჩვენი მუშაობის უმთავრეს კუნჭულებში მაინც უზრუნველვყოთ სწორი და ნაყოფიერი ხელმძღვანელობა.

ფუნქციების და მოვალეობათა არევ-დარევას, უთავბოლოთ დროს ხარჯვას დროა ბრძოლა გამოუცხადოთ და **მრავალი ენის ნაცვლათ მრავალი საქმე ავამეტყველოთ.**

საკონტროლო კომისიის პლენუმი იქონიებს მსჯელობას ამ საკითხზედაც და თუ საბოლოოთ ამომწურავ დასკვნას ეხლავე ვერ გაუკეთებს, სამაგიეროთ პარტიას მიუთითებს ამაზე და იტყვის, რომ აქ საჭიროა რაიმე ზომების გამომუშავება.

ა. დოლიძე.

ლოკარნოსა და ერთა ლიგის გაკოტრება

ერთა ლიგის გაფართოების საკითხში შეთანხმებას ვერ მიაღწიეს

ერთა ლიგაში გერმანიის მიღების საკითხი სექტემბერში გაირჩევა

სესიის ჩაშლა.

ლონდონი, 18 მარტი. 17 მარტს შესდგა ერთა ლიგის საბჭოს პლენარული სხდომა.

ბრაზილიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მის მიერ მიღებული ინსტრუქციები უცვლელი რჩება.

შემდეგ გამოვიდა ჩემბერლენი, რომელმაც ილაპარაკა, როგორც ლიგის პლენუმის პირველი კომისიის თავმჯდომარემ. ჩემბერლენმა შექმნილ მდგომარეობის გამო ღრმესი მწუხარება გამოსთქვა და აღნიშნა შვეციის და ჩეხო-სლოვაკიის კეთილშობილური საქციელი.

„ყველასათვის ცნობილია,—სთქვა ჩემბერლენმა,—რომ გერმანიამ თავიდანვე წარმოადგინა სამართლიანი მოთხოვნილება ლიგის საბჭოში ადგილის მიცემის შესახებ. საუბედუროდ, ბრაზილიის წარმომადგენლის სიტყვის შემდეგ ჩვენთვის აშკარაა, რომ ჩვენ შეთანხმებას ვერ მივაღწევთ“.

შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ის შექმნილი მდგომარეობის გამო იძულებულია შემოიტანოს წინადადება, რომ გერმანიის ლიგაში მიღების საკითხის გადაჭრა სექტემბრამდე გადაიდოს.

შემდეგ გამოვიდა ბრიანი, რომელმაც გამოსთქვა რწმენა, რომ მომავალში გადალახული იქნება ყველა დაბრკოლებანი. მან აღნიშნა გერმანიის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება შექმნილ მდგომარეობისადმი და აგრეთვე ის ფაქტი, რომ გერმანიამ ხელი მოაწერა ცნობას, რომელიც მთელს ქვეყანას აუწყებს, რომ ლოკარნოს შეთანხმება ძალაში რჩება. ბრიანმა წინადადება მისცა კრებას მიიღოს რეზოლიუცია, რომელშიაც ერთი მხრით გამოხატული იქნება მწუხარება, რომ გერმანიას არ შეუძლია ეხლავე შევიდეს ერთა ლიგაში, ხოლო მეორე მხრით გამოთქმული იქნება რწმენა, რომ ეს განხორციელდება სექტემბერში.

გამსკდარი ჟუმბარა.

ბერლინი, 18 მარტი. ცნობამ ერთა ლიგის სესიის ჩაშლის შესახებ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში გამსკდარი ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა. ამ წრეებში ფიქრობდენ, რომ გერმანიის თანხმობა, რათა პოლონეთს ლიგის საბჭოში დროებითი ადგილი მიეცეს ზოგიერთი ცვლილებების შეტანის გზით, უზრუნველყოფს შეთანხმებას. ბრაზილიის პროტესტის შემდეგ აშკარა გახდა, რომ გერმანია ვერ შესძლებს ლიგას ამ სესიაზე მიაღებინოს დადგენილება ადგილების უწინდელი რაოდენობის დატოვების შესახებ.

მთავრობის პრესა შექმნილ მდგომარეობის შესახებ მეტად თავდაჭერილია და იუწყება, რომ გერმანიის დელეგაცია გამოემგზავრა ჟენევიდან.

ლოკარნოს მომხრე დემოკრატიული პრესა, სოციალ-დემოკრატიულ „ფორვერტს“-თან ერთად, მწუხარებას გამოსთქვამს შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც, გაზეთების აზრით, გამოიწვევს უნდობლობას და ერთა ლიგის ავტორიტეტის დაცემას. გაზეთები ბრაზილიის პოზიციას სთვლიან გერმანიისათვის მიცემულ დაპირებების აშკარა დარღვევად და ფიქრობენ, რომ ბრაზილიას ზურგს უმაგრებს იტალია და, შეიძლება, მცირე ანტანტაც.

ნანგრევები.

ბერლინი, 18 მარ. „ფორვერტს“-ის აზრით, ლოკარნოს შენობიდან, რომელიც დიპლომატებმა დიდის გაჭირვებით ააგეს, მხოლოდ ნანგრევები-ღა დარჩა. „ფორვერტს“-ი ფიქრობს, რომ მუსოლინი ცდილობს დაანგრიოს ერთა ლიგა.

სრული არევ-დარევა.

ლონდონი, 18 მარტი. ჟენევიდან ოფიციალურად იტყობინებიან, რომ რადგან ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხში შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი გახდა, ლიგის საბჭომ დაადგინა გერმანიის მიღება სექტემბრამდე გადაიდოს.

მიუხედავად სამხრეთ-ამერიკის დელეგატების ზეგავლენისა, ბრაზილია კვლავ დაჟინებით აცხადებდა, რომ ხმას მისცემს გერმანიის ლიგაში მიღების წინააღმდეგ, თუ მას საბჭოში ადგილი არ დაუთმეს.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა იმ გარემოებამ, რომ უკანასკნელ დროს რუმინეთმაც მოითხოვა ადგილის დათმობა საბჭოში, თუ ჩეხო-სლოვაკია თავის ადგილზე უარს იტყვის.

ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელის მომწერ სახელმწიფოების დელეგატებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც მწუხარებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ლოკარნოს შეთანხმების ძალაში შესვლა ამჟამად შეუძლებელია; დეკლარაციაში იმედს გამოსთქვამენ, რომ ეს ამოცანა განხორციელებულ იქნება ლიგის მომავალ სესიაზე. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია ერთმანეთს შორის შეთანხმებული არიან და სესიის უშედეგოდ დამთავრება იმ სახელმწიფოების ბრალია, რომელნიც არ მონაწილეობენ ლოკარნოს შეთანხმებაში, ლოკარნოს მუშაობა მშვიდობიანობის სასარგებლოდ შეუბღალავი რჩება.

ლოკარნოს მარცხი

ბერლინი, 18 მარტი. ვოლფის სააგენტო ჟენევიდან იტყობინება:

„გერმანიის, ბელგიის, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის წარმომადგენლები შეიკრიბენ შექმნილ მდგომარეობის განსახილველად.

შეკრებილმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ სურდათ შეთანხმების მიღწევა და იმ დაბრკოლებათა გადალახვა, რომელნიც ამჟამად წარმოიშვენ. თუ აღნიშნული სიძნელენი ძალაში დარჩენ, ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ 7 სახელმწიფოს წარმომადგენლები მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ ამჟამად მათ არ ძალუძთ იმ მიზნის მიღწევა, რომლისკენაც ისინი მიისწრაფოდენ.

წარმომადგენლებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მშვიდობიანობის საქმე, რომელიც მათ ლოკარნოში განახორციელეს, არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, თავის ძალას და მას ვერ შეარყევს ამ ჟამად შეთანხმების მიუღწევლობა. ისინი წინანდებურად დგანან ლოკარნოს შეთანხმების ნიადაგზე და მზად არიან საერთო ღონისძიებით დაიცვან ის და კიდევ უფრო განავითარონ.

ისინი დარწმუნებული არიან, რომ ერთა ლიგის მომავალ კრებაზე ეს დაბრკოლებანი აღმოფხვრილი იქნებიან და ეხლანდელი შეთანხმება გერმანიის ლიგაში მიღების წინასწარ პირობების შესახებ განხორციელებული იქნება.

„შავი დღე“.

ბერლინი, 18 მარტი. ერთა ლიგის სესიის ჩაშლის გამო, მემარჯვენე გაზეთები კმაყოფილებას გამოსთქვამენ და აღნიშნავენ, რომ ერთა ლიგას „შავი დღე“ დაუდგა.

ლოკარნო თუ საბჭოთა კავშირი.

ბერლინი, 18 მარტი. „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ ძალა-უფლებისათვის ბრძოლამ საფრანგეთის და ინგლისის იმპერიალიზმს შორის პრაქტიკულად ერთა ლიგის დაშლა გამოიწვია.

გაზეთის აზრით, ჟენევის ამბებიდან შეიძლება გამოტანილ იქნეს განსაზღვრული დასკვნა: **შტრეზემანის და ლიუტერის მთავრობა უნდა გადადგეს, რეიხსტაგი ხელახლად უნდა იქნეს არჩეული. ამის გამო გერმანიამ უნდა გამოარკვიოს—ემხრობა ის ლოკარნოს ომის პოლიტიკას, თუ მეგობრულ ურთიერთობას იცავს საბჭოთა კავშირთან ლოკარნოსა და ერთა ლიგის წინააღმდეგ.**

მოლაპარაკების ჩაშლა ჟენევაში, „როტე ფანეს“ აზრით, ამტკიცებს კონფლიქტის არაჩვეულებრივ გამწვავებას იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის და ჩემბერლენის იმპერიალისტური პოლიტიკის სასტიკ დამარცხებას.

გაზეთის აზრით, ახლო მომავალში გამოირკვევა — რა როლი ითამაშა ამერიკის იმპერიალიზმმა ერთა ლიგის სესიის ჩაშლაში.

ინგლისის პრესის აზრი.

ლონდონი, 18 მარტი. ინგლისის კონსერვატიული პრესა შეშფოთებულია მოლაპარაკების ჩაშლით ჟენევაში და გამოსთქვამს შიშს ლოკარნოს შეთანხმებათა ბედ-იღბალის შესახებ.

ინგლისის დიპლომატიური წრეების აზრით, ბრაზილიის შეურიგებლობა აიხსნება იმით, რომ მას ამ საქმეში მხარს უჭერს იტალია.

კრიზისი ჩეხო-სლოვაკიაში

სამრეწველო კრიზისი

პრაგა, 18 მარტი. ჩეხის კლერიკალების ორგანო „ლიდოვე ლისტი“ ათავსებს პანიკურ წერილს ჩეხო-სლოვაკიაში სამრეწველო კრიზისის შესახებ და აღნიშნავს, რომ **კრიზისის გავრცელება მრეწველობის ყველა დარგებზე აუცილებლად გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას და კლასთა ბრძოლის გამწვავებას.**

„რუდე პრავო“ იუწყება, რომ **მოსალოდნელია 6.000 მაღაროს მუშის დათხოვნა.** ორლოვოში გაიმართა მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 12.000 მუშამ. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს მრეწველობის შემცირების მუშების დათხოვნის და ახალ გადასახადების და ბაჟების წინააღმდეგ და მოითხოვს კონტროლს წარმოებასა და ნახშირის მაგნატთა მოგებაზე. რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას.

პოლიტიკური კრიზისი

პრაგა, 18 მარტი. კონფლიქტის მოგვარების შანსები მთავრობის კოალიციაში მნიშვნელოვნად შემცირდა შეთანხმება არც ერთ საკითხში არ არის მიღწეული.

საპარლამენტო წრეებში დადის ხმები კაბინეტის გადადგომის და საქმიან მთავრობის შედგენის შესახებ.

გამოშვებულია ოფიციოზური ცნობა პრემიერ შვეგლის ავადმყოფობის და ხანგრძლივ შვებულების შესახებ. მის თანამდებობას შეასრულებს გზათა მინისტრი სოციალ-დემოკრატი ბეხინე, რომელიც უკვე შეუდგა პარტიებთან მოლაპარაკებას.

პრემიერის დიპლომატიური ავადმყოფობა ფრიად დამახასიათებელია, რადგან იგი ამტკიცებს კრიზისის სიმწვავეს.

მდგომარეობა ჩინეთში

პეკინში მოელიან დიდ დემონსტრაციას იმპერიალისტების წინააღმდეგ

იმპერიალისტების ულტიმატუმმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია

ბოლდუინის განცხადება.

ლონდონი, 18 მარტი. ინგლისის თემთა პალატაში ჩინეთისადმი წაყენებულ ულტიმატუმის შესახებ ბოლდუინმა განაცხადა:

„შეიარაღებული ძალა უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც უკიდურესი ზომა ჩინეთში მცხოვრებ უცხოელების უშიშროების დასაცავად“.

პრესის გამოძახილი.

ლონდონი, 18 მარტი. ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენი“ აღნიშნავს, რომ ბოლდუინის განცხადება თემთა პალატაში არ ეთანხმება ულტიმატუმს, რომელიც მოითხოვს ჩინეთის ხელისუფლების არ ჩარევას ნაოსნობაში მდინარე პეიხოზე. „მანჩესტერ გარდიენი“ აღნიშნავს, რომ **ასეთი ჩარევის მიერ ნაოსნობისათვის მიყენებული ზარალით არ შეიძლება გამართლებული იქნას ინგლისის მთავრობის მიერ ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ ომის დაწყება.**

კონსერვატიული „დეილი ტელეგრაფ“-ი ფიქრობს, რომ სახელმწიფოებს მეტი არაფერი დარჩენიათ, თუ არა შეიარაღებული ძალის გამოყენება, თუ კი მათ სურთ შეინარჩუნონ ჩინეთში ის მცირეოდენი პრესტიჟი, რომელიც იქ უცხოელებს აქვთ.

საბჭოთა კავშირს არაფერი აქვს საერთო ულტიმატუმთან

პეკინი, 18 მარტი. სახელმწიფოების მიერ ჩინეთისადმი ულტიმატუმის წარდგენის გამო, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელი ესაუბრა საბჭოთა კავშირის პეკინის საელჩოსთან ახლოს მდგომ პირს. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუმცა საბჭოთა კავშირი ფორმალურად ეკუთვნის იმ სახელმწიფოების რიცხვს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბოქსერთა ხელშეკრულებას, საბჭოთა კავშირს არაფერი აქვს საერთო ულტიმატუმთან. ულტიმატუმი წარდგენილი იქნა ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ საბჭოთა კავშირის ელჩის დაუკითხავად. **იმ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, რომელთაც ხელი მოაწერეს ულტიმატუმს, რა თქმა უნდა, არ მიმართეს საბჭოთა კავშირის ელჩს, რადგან იცოდენ, რომ უკანასკნელი გადაჭრით ეწინააღმდეგება ულტიმატუმს, რომელიც წარმოადგენს ჩინეთში წარმოებულ შინაურ ბრძოლაში ჩარევას.**

საპროტესტო დემონსტრაცია

პეკინი, 18 მარტი. 17 მარტს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების 100 წარმომადგენელი გამოცხადდა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოითხოვა მტკიცე პოზიციის დაჭერა სახელმწიფოების ულტიმატუმის მიმართ. წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ სამინისტროში არ არის პასუხისმგებელი პირი, რომელსაც შეეძლო მათი მიღება.

მაშინ დელეგაცია გაემგზავრა დუან-ძი-ჟუის რეზიდენციისაკენ, მაგრამ უკანასკნელის დამცველმა ჯარმა იგი შენობაში არ შეუშვა.

ამ დღეებში მოსალოდნელია საპროტესტო დემონსტრაცია ულტიმატუმის წინააღმდეგ.

ჩინეთის პრესის გამოძახილი

პეკინი, 18 მარტი. ჩინეთის პრესა მკაცრ კრიტიკას უკეთებს სახელმწიფოების ულტიმატუმს ჩინეთისადმი. ის გაზეთებიც კი, რომელნიც წინად იზიარებდენ რეაქციონურ ტენდენციებს, ეხლა მთავრობისაგან გადამწყვეტ პოზიციას მოითხოვენ.

მაგ. გონკონგის გაზეთი „დავანბაო“, აღნიშნავს, რომ იაპონიის მილიტარისტები უკარნახებენ საგარეო პოლიტიკას, რის გამოც იაპონიის მძულვარება მიმართულია, უმთავრესად, ჩინეთის წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავს, რომ იაპონიამ გააზვიადა ტაკუში მომხდარი ინციდენტი და წაუყენა ჩინეთს შეუძლებელი მოთხოვნილებანი.

„ჩინეთის ხალხი, სწერს გაზეთი, არასოდეს არ დაივიწყებს იაპონიის ამგვარ საქციელს. **ჩინეთის ხალხს ახსოვს იაპონიის მიერ წამოყენებული სამარცხვინო 21 მოთხოვნილება. ახალი სამარცხვინო მოთხოვნილებანი იაპონიას და ჩინეთს შორეულ აღმოსავლეთში ისეთივე მტრებად ხდიან, როგორც გერმანია და საფრანგეთი ევროპაში“.**

პეკინის გაზეთი „ბეხოი-ჟიბეო“ სწერს, რომ თუმცა იგი არა გრძნობს განსაკუთრებულ სიყვარულს ფინ-იუი-სიანისადმი, მაინც უდიდესი მძულვარებითაა განწყობილი უ-პეი-ფუსა და ჩჟან-ძო-ლინის მიმართ, რომელთა დასაცავად წამოყენებული იქნა ულტიმატუმი.

„იაპონიის ხელისუფლების თვალთმაქცური პროტესტის მიზანია მხოლოდ თვალები აუხვიოს ჩინელებს. ნამდვილად კი იაპონიის არტილერია ყუმბარებს უშენდა სახალხო არმიას და იაპონია სრულიად აშკარად ეხმარება ჩჟან-ძო-ლინს“.

შანხაის გაზეთი „ჩენ-ბაო“ (უკანასკნელ ხანამდი რეაქციონური გაზეთი იყო) აღნიშნავს, რომ თუ ჩინეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალდატანება იხმარეს, უკანასკნელმაც თავის მხრივ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს. გაზეთი აცხადებს, რომ უცხო სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ჩინეთის სუვერენულ უფლებებს და დღევანდელ პირობებში არ უნდა მოითხოვონ 16 წლის წინად ხელმოწერილი ხელშეკრულების გატარება.

„ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ სახელმწიფოების მოთხოვნილებებს, აცხადებს გაზეთი. **მთავრობამ სერიოზული პასუხი უნდა გასცეს ულტიმატუმს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩაიდენს გაუსწორებელ შეცდომას.**

რეაქციონური ინგლისური გაზეთი **„პეკინ-ენდ-ტიან-ძინ-ტაიმსი“**, რომელიც პეკინში გამოდის ზეიმობს იმის გამო, რომ სახელმწიფოები ბოლოს ამოქმედდენ“.

ამერიკული ლიბერალური მიმართულების გაზეთი **„ჩეინა-ლიდერი“** რომელიც პეკინში გამოდის **ამართლებს სახალხო არმიის მოქმედებას და მას აუცილებელ თავდაცვის ზომათ სთვლის მუკდენის ჯარების ტიან-ძინში შესვლის წინააღმდეგ. გაზეთი ფიქრობს, რომ სახალხო არმიის სარდლობამ მიიღო სრულიად გონივრული ზომები**, რაც მცირეოდნად აბრკოლებდა გემების შესვლას ტიან-ძინში.

საჭირო განმარტება

ჩვენ მივიღეთ ორი წერილი.: ერთ მათგანში სწერია სხვათა შორის შემდეგი: „ამხანაგო რედაქტორო! ჩვენ გაზეთი იმიტომ გვინდა, რომ წავიკითხოთ და თვალყური ვადევნოთ პარტიულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ ბოლო დროს „კომუნისტი“ იბეჭდება მეტად წვრილი ასოებით. თვალები კითხვისაგან მალე იღლება. ამას ართულებს ის, რომ მუშებს გვიხდება გაზეთის წაკითხვა ღამე, სუსტ განათებასთან. გთხოვთ ამ გარემოებას მიაქციოთ ყურადღება და გაზეთი დაგვიბეჭდოთ ისე, რომ მისი წაკითხვა შეიძლებოდეს. მუშების მინდობილობით **ს. დოლიძე.**“

შრიფტის საკითხს ეხება მეორე წერილში ს. ტაბისის თემიდან (ახალც. მაზ.) ამხ. ნიკოლა მაყულაშვილი, ხოლო ის სხვა ნაკლზე მიგვითითებს.:

„ჩვენ ვღებულობთ, როგორც გაზ. „ახალ სოფელს“, რომლის კითხვასაც გლეხები ძლიერ მიეჩვივნ, ისე გაზ. „კომუნისტს“, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში გაზეთის შრიფტი ძლიერ გამოიცვალა. ხშირად გაიგონებთ გლეხებისაგან. გაზეთი კარგია, მაგრამ შიგა და შიგ რომ ასოები აკლია, ეს არ არის სასურველი. ვისაც ახლად შესწავლილი აქვს ანბანი, იმან როგორ წაიკითხოს ასო ნაკლები სიტყვა „კომუნისტში?“.

ამრიგად ჩვენი გაზეთის მკითხველი ამხანაგები ორ ნაკლზე მიგვითითებენ: ერთი მათგანი გვისაყვედურებს შრიფტის სიპატარავეს, მეორე კი გვეუბნება ასოები აკლიაო.

რედაქციამ თავიდანვე იცოდა, რომ ცვლილებები, რომელიც მოხდა ამ ბოლო დროს შრიფტის მხრივ, ერთგვარ უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მაგრამ ის იძულებული გახდა ნაწილობრივად გადასულიყო უფრო ნაკლებ ზომის (ეგრედ წოდებულ შავი და თეთრი პეტიტის) ასოებზე.

ეს აუცილებლობა გამოწვეულია ქაღალდის ნაკლებობით. საექსპორტო გეგმის შეკვეცასთან ერთად, ჩვენს კავშირში, შემცირდა საგაზეთო ქაღალდის შემოზიდვაც, ამის გამო ყველა გაზეთები იძულებული გახდენ შეემცირებინათ ქაღალდის ხარჯი. მათ შორის ჩვენი გაზეთიც გადავიდა ოთხ გვერდზე ნაცვლად ყოველდღიური ექვსი გვერდისა. საგაზეთო მასალა კი დარჩა იგივე, რაც წინად იყო: შინაური და გარეშე ინფორმაცია, ადგილობრივი აღმშენებლობის საკითხები. მუშა და გლეხ კორესპონდენტების წერილები და სხვა. მთელი ამ მასალის ჩატევა ოთხ გვერდში ყოველდღიურად და კვირაობით კი ექვს გვერდში, როგორც ახლა „კომუნისტი“ გამოდის,—შეუძლებელია.

რედაქციის წინაშე დაისვა კითხვა: ან შემცირება მთელი მასალისა დაახლოვებით ერთი მესამედით მაინც და მცირედი გამონაკლისით მთლად ძველი შრიფტის დატოვება, ან მასალების მოთავსება გაზეთის ფურცლებზე დაახლოვებით ძველი რაოდენობით და წვრილ შრიფტზე გადასვლა. ჩვენ, და არა მარტო ჩვენ, არამედ სხვა გაზეთებმაც, ვარჩიეთ უკანასკნელი. ახალი წვრილი შრიფტი, განსაკუთრებით შავი პეტიტი, ბევრად არ განსხვავდება ჩვეულებრივი შრიფტისაგან თავისი თვალსაჩინოობით.

მთლიანად ძველი შრიფტის (ე. წოდებული კორპუსის) დატოვება და მასალის შემცირება ბევრად უფრო მეტ და საფუძვლიან უკმაყოფილებას გამოიწვევდა მკითხველებში. არც საქმისათვის იქნებოდა ეს სასარგებლო. ჩვენი მკითხველი მასა იმდენად გაიზარდა დღეს პოლიტიკურად, რომ მას აინტერესებს, როგორც საერთაშორისო, ისე შინაური ამბები. ის მოითხოვს აღმშენებლობის, ყოფა - ცხოვრების და ჩვენი ყოველდღიურობის საკითხების დაახლოვებით მაინც ამომწურავად გაშუქებას. ყოველივე ეს ძნელია ოთხი გვერდის ფარგლებში.

რაც შეეხება ამხ. ნ. მაყულაშვილის საყვედურს, რომ გაზეთში ალაგ-ალაგ გამოტოვებულია ასოები, ეს რამოდენიმე დღის ნომრებს შეეხება. როცა „კომუნისტი“ ახალ ბინაზე გადავიდა, რამაც დროებით შეაფერხა გაზეთის უკეთესად აწყობა. დღეს ასეთ ნაკლს, როგორც ვიცით, ადგილი აღარ აქვს, რადგან გაზეთი იწყობა ახალი მანქანებით.

საბჭოთა პრესა

მზადება საამშენებლო სეზონისათვის

იწყება საამშენებლო სეზონი. საბინაო მშენებლობა ქალაქად და სოფლად წრეულს გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით იწარმოებს, ვინემ წინა წლებში. ქალაქები, საბინაო კოოპერაცია, გლეხობა მოღონიერდენ ნივთიერად და მშრომელი მასა ილტვის თავის ცხოვრების კეთილმოწყობისაკენ. მაგრამ აქ ჩვენ გაწყდებით საამშენებლო მასალის ნაკლებობას. ამ მხრივ არსებული მარაგი და წარმოების დონე ვერ დააკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს. ყველგან საგრძნობია სიმცირე ხე-ტყის, შუშეულის, რკინეულის, აგურის, დუღაბის და სხ. ამ გარემოებით სარგებლობს კერძო კაპიტალი და სპეკულიაციას ეწევა საამშენებლო მასალაზე. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ბაზრის მოსაწესრიგებლად. წარმოების გაძლიერება ამ დარგში და საამშენებლო მასალების გეგმიანი განაწ.-ბა აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი ყურადღება და საქმიანობა. **„რაბოჩაია გაზეტა“** ეხება ამ საკითხს.

„ძირითად ღონისძიებებს საამშენებლო მასალების ბაზარზე ფასების ზრდასთან ბრძოლაში წარმოადგენს: საამშენებლო მასალების გეგმიანი განაწილება რაიონებში, მრეწველობის სათანადო ორგანების განკარგულებაში მასალების ერთგვარ მარაგის დატოვება, რომ შესაძლებელი გახდეს სპეკულიაციის აღმოფხვრა მათი მიწოდებით იმ რაიონებისათვის, რომელნიც ამის საჭიროებას მწვავედ განიცდიან. ზედნადები ხარჯების დაკლება როგორც მრეწველობის, ისე, განსაკუთრებით, სავაჭრო ორგანიზაციების მხრივ. საამშენებლო მასალების წარმოების გაძლიერება, რათა 1925—26 წლ. საწარმოო პროგრამები მთელი 100 პროცენტით იქნეს შესრულებული. საამშენებლო მასალების თავმოყრა მხოლოდ რამოდენიმე მსხვილ ორგანიზაციის ხელში, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებული არიან მთავარ მომხმარებლებთან. სპეკულიაციასთან ბრძოლა მტკიცე ფასების დაწესებით“.

ცხადია, ეს ზომები უნდა იქნენ განხორციელებული დაჩქარებით, რომ საამშენებლო პერიოდს მომზადებული შევხვდეთ და არ დაუშვათ ფასების სპეკულიატიური აწევა. ამასთან საჭიროა სხვადასხვა ორგანიზაციებმა შეუფარდონ თავიანთი საამშენებლო პროგრამები არსებულ საამშენებლო საშუალებებს.

ქართული წითელი არმიის 5 წლის თავი

წესრიგი

თბილისში ქართული წითელი არმიის ხუთი წლის თავის დღესასწაულის ჩატარებისა.

20 მარტს, საღამოს, მუშათა ორგანიზაციები იწვევენ შეფობაზე აყვანილ მიმაგრებულ ქართულ ნაწილებს თავ-თავის კლუბებში და ლენინის კუთხეებში.

იკითხება მოკლე მოხსენებები ქართული წითელი არმიის ხუთი წლის თავის შესახებ.

მომხსენებლებს ნიშნავენ სამხედრო ნაწილების პარტორგანიზაციები.

მოხსენების შემდეგ ხდება სამხედრო კუთხეების გახსნა მუშათა კლუბებთან.

ამავე დღეს იხსნება სამხედრო კუთხე გლეხის ცენტრალურ სახლთან.

21 მარტს—დილის 11 საათზე მოხდება თბილისის გარნიზონის ყველა ქართულ ნაწილების გავლა-გასეირნება რუსთაველის პროსპექტზე; 15 საათზე ტერიტორიალურ ნაწილებში იმართება ცვალებადების საერთო კრებები.

16 და 17 საათზე ყველა ქართულ ნაწილებში მთავრობის წევრების და რუსულ ნაწილების და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით იმართება მიტინგები.

20 და 21 მარტს ყველა თეატრებში და კინოებში განათლების სახალხო კომისარიატი ქართული დივიზიის პოლიტგანათლებასთან და საქ. პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ადგილების საკმაო რაოდენობას უთმობს ქართულ ნაწილებს.

„ერთი ნაბიჯი უკან, ორი ნაბიჯი წინ“

ლონდონი, 18 მარტი. ლონდონში გაიმართა მანქანების ამშენებელთა 38 კავშირის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც ხმების აბსოლუტური უმრავლესობით წინააღმდეგ ერთისა დაადგინა წინადადება მიეცეს მანქანების საამშენებლო კომპანიის გაფიცულ მუშებს განახლონ მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება დისციპლინარული ზომები.

კომპარტიამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც იგი აკრიტიკებს მანქანების საამშენებლო კავშირთა აღმასკომის სისუსტეს, მაგრამ ამავე დროს აცხადებს, რომ შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს ერთი ნაბიჯის უკან გადადგმას, რათა შემდეგ შესაძლებელი გახდეს ორი ნაბიჯის წინ გადადგმა“. ამის გამო კომპარტია მოუწოდებს გაფიცულებს დაუბრუნდენ სამუშაოს და შეუერთდენ მანქანების ამშენებელთა საერთო მოთხოვნილებას ხელფასის გადიდების შესახებ.

რკინისგზელების კომპანია

ლონდონი, 18 მარტი. ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილში გაიმართა რკინისგზელთა ნაციონ. კავშირის ლონდონის განყ. კონფერენცია. კონფერენციამ წინადადება მისცა განყოფილებებს მოითხოვონ ხელფასის გადიდება 10 შილინგით კვირაში და მინიმალურ ხელფასად 3 გირ. სტერლინგის შემოღება ყველა კატეგორიებისათვის. მიღებულია [illegible]ტილება მოეწყოს მოქნილი აპარატი რკინისგზის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების საწარმოებლად.

ბელგია და საბჭოთა კავშირი

პარიზი, 18 მარტი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს ბელგიის პალატაში სიტყვა წარმოსთქვა მემარცხენე სოციალისტმა ბრიუნფომ, რომელიც შეეხო პარიზში დაწყებულ მოლაპარაკებას საფრანგეთის მთავრობასა და რაკოვსკის შორის და აღნიშნა საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის მნიშვნელობა.

„საბჭოთა მთავრობამ, — სთქვა ბრიუნფომ,—არა ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ის მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ოქტომბრის რევოლიუციის უმნიშვნელოვანეს მონაპოვართა შენარჩუნების საფუძველზე. ბელგიის მთავრობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი არ დაუშვებს რუსეთის პროლეტარიატის უფლების დარღვევას“.

საფრანგეთში

ბრიანის კაბინეტის დეკლარაცია

ლონდონი, 18 მარტი. ბრიანის კაბინეტის დეკლარაციაში, რომელიც ორივე პალატაში იქნა გამოქვეყნებული, გამოთქმულია მწუხარება იმის გამო, რომ გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში არ მოხდა. დეკლარაციაში აღნიშნულია, აგრეთვე, რომ ლოკარნოს ხელშეკრულება ურყევათ რჩება. მთავრობა ეცდება მიიღოს პალატის ვოტუმი აუცილებელ ფინანსიურ ღონისძიებათა შესახებ აღდგომის უქმებამდე. მთავრობის უმთავრესი ამოცანებია: ბიუჯეტის წონასწორობის დამყარება და მოლაპარაკების გაგრძელება საერთაშორისო დავალიანების მოსაწესრიგებლად.

ფინანსთა მინისტრის განცხადება

პარიზი, 19 მარტი. ფინანსთა ახალი მინისტრი რაულ პერე აცხადებს „ჟურნალ ინდუსტრიელი“-ს ფურცლებზე, რომ ის აპრილში გაემგზავრება ლონდონში; მანამდის კი ბრიტანეთის ხაზინაში მიავლინებს რამოდენიმე სპეციალისტს, რომლებიც განაგრძობენ დავალიანების მოწესრიგების საკითხების შესწავლას.

ბრიანს ობსტრუქცია მოუწყვეს

ბერლინი, 19 მარტი. ბრიანი იძულებული იყო დაეტოვებია ტრიბუნა დეპუტატთა პალატაში, რადგან ოპოზიციამ ხანგრძლივი ობსტრუქცია მოუწყო და არ მისცა საშუალება აეხსნა ერთა ლიგის სესიის უნაყოფოდ დამთავრების მიზეზები.

გალაშქრება მალვის წინააღმდეგ

ლონდონი, 19 მარტი. როგორც „დეილი მეილი“-ს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრს მალვის, რომელსაც თავის დროზე სახელმწიფო ღალატისათვის საფრანგეთის საზღვრებიდან გაძევება ჰქონდა მისჯილი და, რომელიც შემდეგ ამნისტიით განთავისუფლეს სასჯელისაგან, დეპუტატთა პალატაში ომის ვეტერანმა, უფეხო ინვალიდმა ბრალი დასდო მასში, რომ ის მორალურად პასუხისმგებელი არის 25 ჯარისკაცის დახვრეტაში, რომლებიც 1918 წელში იქნენ დახვრეტილი, რადგან ბრალი დასდეს ამბოხებაში.

მალვიმ განაცხადა, რომ მან გადასწყვიტა გადადგეს, მაგრამ ბრიანმა, რომელიც წამოვარდა თავის ადგილიდან არ მიიღო გადადგომა. მალვიმ ძლივს მიაღწია თავის ადგილამდის, სადაც გრძნობა დაჰკარგა—ის გონებაზე მხოლოდ თავის ბინაზე მოიყვანეს.

ნდობა გამოუცხადეს

ლონდონი, 19 მარტი. დეპუტატთა პალატამ ცხარე კამათის შემდეგ, მალვის დანიშვნის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნდობას უცხადებს ბრიანის ახალ კაბინეტს.

მატეოტის მკვლელთა საქმე

რომი, 18 მარტი. ქ. კიეტის საოლქო სასამართლოში დაიწყო მატეოტის მკვლელთა საქმის განხილვა.

მთავარმა ბრალდებულმა დუმინსკიმ აღიარა, რომ მას ეკუთვნის მატეოტის მოტაცების ინიციატივა, მაგრამ აღნიშნა, რომ მატეოტი მგზავრობის დროს უეცრად გარდაიცვალა ყელიდან სისხლის დენის გამო.

დანარჩენი ბრალდებულები დაკითხვის დროს უარყოფდენ მათ მიმართ წაყენებულ ბრალდებას.

სხვადასხვა

— **ეროვნული გლოვა კოსტარიკაში.** რკინისგზაზე მომხდარ საშინელ კატასტროფის გამო, რომლის დროსაც დაიღუპა 284 კაცი კოსტარიკის მთავრობამ (შუა ამერიკა) გამოაცხადა ეროვნული გლოვა სამი დღით.

დაღუპულთა უმრავლესობა მუშები და გლეხებია.

— **სვარაჯისტების ბოიკოტი.** რეიტერის სააგენტოს ცნობით სვარაჯისტებმა (ინდუსი ნაციონალისტები) და ნაციონალისტებმა დასტოვეს მადრასის საკანონმდებლო კრება. როგორც ეს წინათ ბომბეიში და დელიში მოიმოქმედეს.

— **კომუნისტების სასარგებლოდ.** საფრანგეთის პარლამენტის დამატებითი არჩევნების შედეგების გამო პარიზის მეორე ოლქში, სენის დეპარტამენტის რადიკალების ორგანიზაციამ დაადგინა მოხსნას თავისი კანდიდატები მომავალ ხელახალ არჩევნებში და მოუწოდონ ამომრჩევლებს წინ გადაეღობონ რეაქციას რადგან რეაქციონერების ერდად-ერთი მოწინააღმდეგეები კომუნისტები არიან, ეს მოწოდება ნიშნავს გამოსვლას კომუნისტების სასარგებლოდ.

— **კობხემის გადაფრენა.** 18 მარტს ლონდონში ჩამოვიდა მფრინავი კობხემი.

11 მარტს კობხემი მეტად მძიმე პირობებში გადაფრინდა ხმელთა შუა ზღვაზე.

ამრიგად კობხემმა დაახრულა თავისი მარშრუტი ლონდონი—კეპშტადცი—ლონდონი. ლონდონში დაბრუნებას ქაირსა და ათინის გზით კობხემმა მოანდომა 15 დღე. ამ ხნის განმავლობაში ჰაერში მან დაჰყო 80 საათი, გაიარა 8.500 მილი. გადაფრენის დროს კობხემს შეჩერება მოუნდა 26 ჯერ.

— **მუშათა პარტიის შოტლანდიის საბჭომ** დაადგინა გამორიცხული იქნან პარტიიდან კომუნისტი-დელეგატები შოტლანდიის ორგანიზაციის კონფერენციაზე, რომელიც 14 მარტს დაიწყო.

ამის გამო გლაზგოს პროფკავშირთა საბჭომ გადასწყვიტა პროტესტის ნიშნად არ გაგზავნოს დელეგატები ამ კონფერენციაზე.

— **ნინჩიჩი და რუფოსი.** სამხრეთ-სლავიის მთავრობის ოფიციალური ცნობით ნინჩიჩსა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რუფოსს შორის წარმატებულმა მოლაპარაკებამ ჟენევაში გამოაშკარავა სრული ერთსულოვნება ორივე ქვეყნის პოლიტიკის საკითხებში, როგორც ბალკანეთში, ისე ევროპაში, ორივე სახელმწიფოები მიისწრაფვიან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ.

— **სასოფლო-სამეურნეო მუშების გამარჯვება ქვემო-ავსტრიაში.** დასრულდა კონფლიქტი სასოფლო-სამეურნეო მუშებსა და მემამულეებს შორის ქვემო-ავსტრიაში. კონფლიქტი წარმოიშვა ხელფასის საკითხის გამო. მემამულეები დასთანხმდენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა განახლებას.

საბჭოთა აჭარისტანის ხუთი წლის თავზე

ბათომი, 19 მარტი. 18 მარტს, საღამოს, აკადემიურ თეატრში, რომელიც გაჭედილი იყო პარტიულ, პროფესიონალური და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებით, გაიხსნა აჭარისტანის საბჭოთა მეექვსე ყრილობა. პრეზიდიუმში აირჩიეს 45 კაცი, ბევრია აჭარელი ქალები. ყრილობას მიესალმენ საქ. კომპარტიის ცკას სახელით ამხ. **კახიანი**, აჭარისტანის მთავრობის სახელით ამხ. გოგიბერიძე, დელეგატი გლეხები, აჭარელ ქალთა წარმომადგენლები და სხვ. ყრილობამ მოისმინა მრავალი დეპეშები, რომლებიც მან მიიღო აჭარისტანის გასაბჭოების ხუთი წლის თავის გამო, ამიერ-კავკასიის უმაღლეს ორგანოებისა და აგრეთვე სრულიად საკავშირო ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინისაგან.

ყრილობამ ერთხმად დაადგინა—გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშები საქართველოს ცაკსა და მთავრობას. 19 მარტს შესდგა ჯარის ნაწილების აღლუმი, რომელიც ყრილობის დელეგატებმა მიიღეს.

უკანასკნელი ცნობები

ჩინეთის პასუხი ულტიმატუმზე

პეკინი, 18 მარტი. ჩინეთის მთავრობამ პასუხი გაუგზავნა პოლონეთის წარმომადგენელს უდენდაიკს სახელმწიფოთა ულტიმატუმზე ტაკუს ინციდენტის გამო. თავის პასუხში ჩინეთის მთავრობა ადასტურებს, რომ ის 1901 წლის შეთანხმებებს, სცნობს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ტაკუს მიდამოებში წარმოებულმა სამხედრო ოპერაციებმა გამოიწვია უცხოეთის სამხედრო გემების მიმოსვლის ნაწილობრივი შეჩერება, ჩინეთის მთავრობა ამასთანავე აცნობებს უდენდაიკს, რომ ჩინეთის სამხედრო ხელისუფლებას გაეგზავნა ინსტრუქციები სახელმწიფოთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესახებ. და სთხოვს მას მისცეს განკარგულება უცხოელ გემების უფროსებს კონტაქტი დაამყარონ ტიან-ძინის ჩინეთის სამხედრო ხელისუფლებასთან — იმ მიზნით, რომ გამომუშავებულ იქნეს ღონისძიებები ზღვასთან თავისუფალი კავშირის დასამყარებლად.

ტეტუანს ყუმბარებს უშენენ

ბერლინი, 19 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით რიფები კვლავ უშენენ ყუმბარებს ტეტუანს.

პასუხი დამაკმაყოფილებელია

პეკინი, 18 მარტი. ჩინეთის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობით, 12 მარტს შემდგარმა იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირმა, რომელმაც ხელი მოაწერა ბოქსერთა ოქმს. დამაკმაყოფილებლათ იცნო ტაკუს სიმაგრეთა სამხედრო კომენდანტისა და მუკდენის ფლოტილიის უფროსის დაპირებები, რის გამო ულტიმატუმში გათვალისწინებული ზომები ზედმეტათ არის ცნობილი.

„პეკინ-ენდ-ტიან-ძინ - ტაიმსის“ პროვოკაცია

პეკინი, 18 მარტი. საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი „ოლეგი“ დაკავებული იქნა მუკდენელების სამხედრო გემების მიერ ტაკუს მახლობლად გემი გაჩხრიკეს.

ამის გამო ინგლისის რეაქციონურმა გაზეთმა „პეკინ-ენდ-ტიან-ძინ-ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ „ოლეგს“ ვითომდა იარაღი და ამუნიცია მიჰქონდა სახალხო არმიისათვის.

ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება, რადგან გემს კომბოსტო მიჰქონდა ვლადივოსტოკიდან.

საბჭოთა სავაჭრო ფლოტმა მოითხოვა, რომ „პეკინ-ენდ-ტიან-ძინ-ტაიმსმა“ გამოაქვეყნოს ამ ცნობის გაბათილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ცილისწამების ბრალდებას წაუყენებს გაზეთს.

თავდასხმა ბოლდუინზე და უელსის პრინცზე

პარიზი, 19 მარტი. ლონდონში ვიღაც უცნობმა ბომბა შეაგდო იმ დარბაზში, სადაც ბოლდუინი იმყოფებოდა წვეულებაზე. ცეცხლი გაუჩნდა ხალიჩას, ცეცხლი მალე ჩააქრეს. იმავე უცნობმა, რამოდენიმე ხნის შემდეგ, ბომბა ესროლა რესტორანში უელსის პრინცს.

ვაშინგტონის კარნახით

ლონდონი, 18 მარტი. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ბრაზილიის პოზიცია ერთა ლიგის სესიაზე ვაშინგტონის მიერ იყო ნაკარნახევი.

ამერიკა უარს ამბობს

ვაშინგტონი, 18 მარტი. ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ამერიკა არ მიიღებს მონაწილეობას განიარაღების წინასწარ კონფერენციის მუშაობაში, რომელსაც ერთა ლიგა იწვევს. ეს გადაწყვეტილება მიღებულია ერთა ლიგის უკანასკნელ სესიის ჩაშლასთან დაკავშირებით.

თორმეტი მილიონი

ბერლინი, 18 მარტი. დამთავრდა ხელისმოწერათა შეკრება საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოთ ყოფილ მეფის გვარეულობის ქონების კონფისკაციის საკითხის გადასაწყვეტად. შეკრებილია 12 მილიონი ხელის მოწერა.

ჩერნის კაბინეტი

პრაღა, 18 მარტი. შესდგა ახალი მთავრობა ჩერნის თავმჯდომარეობით. ბენეში დარჩა საგარეო საქმეთა მინისტრათ, თავდაცვის მინისტრათ დანიშნულია გენერალი სიროვი, რომელიც 1918—19 წლებში ციმბირში მყოფ ჩეხო-სლოვაკების ჯარების უფროსი იყო.

ინგლის - საბჭოთა ურთიერთობა

ლონდონი, 18 მარტი. თემთა პალატაში მუშათა პარტიის დეპუტატმა უოლხედმა შეკითხვა შეიტანა და განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ თანხმობა განაცხადა და მზად არის განიხილოს მთლიანად საკითხი ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის შესახებ და მიაღწიოს ისეთ შეთანხმებებს, რომლის დროსაც ის იცნობს თავის ვალდებულებებს.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა მაკნეილმა უპასუხა, რომ მოლაპარაკება ეხლა არავისთვის არ არის საჭირო, მაგრამ საბჭოთა კავშირი რომ დიპლომატიური გზით აცნობებდეს ინგლისის მთავრობას, რომ ის ეხლა უკვე აღარ ამბობს უარს ვალებზე, ჩემბერლენი უსათუოდ გამართავდა მასთან მოლაპარაკებას.

ბრიანის პოზიცია მოიწონეს

ლონდონი, 19 მარტი. ბრიანმა წარუდგინა მინისტრთა საბჭოს სრული მოხსენება ჟენევის მოლაპარაკების შესახებ. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ბრიანის პოზიცია, რადგან სთვლის რომ მოლაპარაკების გადადება უკეთესი გამოსავალია, ვიდრე მისი სავსებით ჩაშლა.

მთავრობის კრიზისი ჩეხო-სლოვაკიაში

ბერლინი, 19 მარტი. ამ დღეებში მოსალოდნელია ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის გადადგომა, რადგან შვეგლა მოითხოვს განთავისუფლონ ის პრემიერის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის აღსადგენად ხანგრძლივ მოგზაურობაში წასვლამდის.

შვეგლა გადადგა

პარიზი, 19 მარტი. ჩეხო-სლოვაკიის პრემიერ-მინისტრი შვეგლა გადადგა.

კამათის მოლოდინში

ლონდონი, 19 მარტი. მაკდონალდმა და ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში გამოსთქვეს სურვილი ჟენევაში მომხდარ ამბების გარშემო კამათის რაც შეიძლება ჩქარა გახსნის შესახებ. ბოლდუინმა უპასუხა, რომ კამათი ოთხშაბათამდის არ არის მოსალოდნელი.

მოითხოვენ ჩემბერლენის გადადგომას

პარიზი, 19 მარტი. ლიბერალური და მუშათა პარტიის პრესა მოითხოვს ჩემბერლენის გადადგომას.

კომისია ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის შესახებ

ლონდონი, 19 მარტი. ერთა ლიგის გუშინდელ კრებაზე თავმჯდომარეობდა ვიკონტ იშიი. მან განაცხადა, რომ წინადადება მისცა საბჭოს, დღესვე დანიშნოს კომისია ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის საკითხის ყოველმხრივ შესასწავლათ.

კომისია უკვე დანიშნულია საბჭოს მიერ და შეიკრიბება ჟენევაში 10 მაისს. კომისიის შემადგენლობაში შევა 10 სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომლებიც ერთა ლიგის საბჭოში არიან და აგრეთვე გერმანიის, შვეიცარიის, არგენტინის, პოლონეთის და ჩინეთის წარმომადგენლები. კომისია თავის მოხსენებას საბჭოს სექტემბრამდის წარუდგენს.

ჩვეულებრივი საქმეები

ლონდონი, 19 მარტი. ჟენევიდან მიღებულ ცნობის მიხედვით, ერთა ლიგის საბჭომ დაამთავრა ჩვეულებრივი საქმეების გარჩევა. მიუხედავათ საბერძნეთის განცხადებისა, საბჭომ დაადგინა. გაატაროს საზღვარი ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის მდინარე გარიცაზე.. განხილულია შეერთებულ შტატების განცხადება მისი შესვლის შესახებ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალში განსაზღვრულ პირობებში. მიღებულია წინადადება ეთხოვოს ჰააგის ტრიბუნალის ყველა წევრებს და შეერთებულ შტატებს გამოუგზავნონ დელეგატები საგანგებო კონფერენციაზე ჟენევაში მიმდინარე წლის სექტემბერში შეთანხმების მისაღწევად შეერთებულ შტატების პირობების გარშემო.

ბრაზილიის განცხადება

ბერლინი, 19 მარტი. რიო-დე-ჟანეიროდან იუწყებიან, რომ ბრაზილიის პოლიტიკური წრეების განცხადებით ბრაზილიამ ჟენევაში თავისი პოზიცია იმიტომ კი არ დაიკავა, რომ ის გერმანიის ერთა ლიგაში მიღების წინააღმდეგი არის, არამედ იმ მიზნით, რომ პროტესტი გამოეთქვა ყოველგვარი პოლიტიკური დაჯგუფებების წინააღმდეგ.

ლიუტერ-შტრეზემანი ნდობას მოითხოვენ

ბერლინი, 19 მარტი. გერმანიის კაბინეტმა მოიწონა გერმანიის დელეგაციის პოზიცია ქ. ჟენევაში. პოლიტიკური წრეების აზრით, ლოკარნოს ხელშეკრულება ძალაში დარჩება გერმანიის შესვლამდის ერთა ლიგაში.

კამათი ჟენევის მოლაპარაკების გარშემო. მოსალოდნელია რეიხსტაგში მომავალ კვირაში. მთავრობა ნდობის ვოტუმს მოითხოვს. კომფრაქცია მოივატუმს მოითხოვს. კომფრაქცია მოითხოვს კაბინეტის გადადგომას და უნდობლობის ვოტუმი შეიტანა.

ლიუტერის განცხადება

პარიზი, 19 მარტი. ბერლინის გაზეთების წარმომადგენლებთან საუბარში ლიუტერმა განაცხადა, რომ ის მწუხარებას გამოსთქვამს ჟენევაში გამართულ მოლაპარაკების უშედეგოთ დამთავრების გამო, მაგრამ კმაყოფილია მით, რომ გერმანიას არაფერში არ ეთქმის საყვედური: ის რჩება ჟენევაში დაკავებულ პოზიციაზე.

უმუშევრობა ინგლისში

ბერლინი, 19 მარტი. უმუშევართა რიცხვი ინგლისში უკანასკნელი კვირის განმავლობაში 1,338-ით შემცირდა. უმუშევართა საერთო რაოდენობა ამჟამად 1,094.000-მდე აღწევს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

გლეხკორის გასამართლება

ვლადიმირი, 19 მარტი. საგუბერნიო სასამართლომ ყოფილ გლეხკორს სოკოლოვს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა „ვლადიმიროვსკაია გაზეტა“-ში ყალბი ცნობების მოთავსებისათვის.

კოლჩაკის ოფიცრის გასამართლება

ტომსკი, 19 მარტი. სადგურ ტაიგოში დამთავრდა კოლჩაკის ოფიცრის მაქსიმოვის გასამართლება. მას ბრალად ედება რკინისგზელების დახვრეტა. მაქსიმოვს დახვრეტა მიუსაჯეს.

ბრინჯაოს ხურდა ფული

ლენინგრადი, 19 მარტი. ხმარებაში გამოვიდა 2 და 5 კაპიკიანი ბრინჯაოს ხურდა ფულის პირველი პარტია ახალი ფული სამჯერ უფრო მსუბუქია სპილენძის ფულზე. სპილენძის ფულის მოჭრა შეწყდა.

თესვის კამპანია

მოსკოვი, 19 მარტი. ახლო მომავალში დაიწყება თესვის კამპანია. ამის გამო გზათა სახალხო კომისარმა განკარგულება გასცა გზებზე, რომ სასწრაფოდ იქნეს გადმოტვირთული თესლეულობა, რომელიც რაიონებში იგზავნება.

ამინდი.

ტომსკი, 19 მარტი. არაჩვეულებრივი თბილი ამინდი დაიჭირა. დღისით 9 გრადუსი სითბოა.

სევასტოპოლი, 19 მარტი. თითქმის ყოველ დღე თოვლი მოდის. ცივი გაზაფხული შეუძლებელს ხდის თესვის დაწყებას. სევასტოპოლის რაიონში ყინვამ ძალიან დააზარალა საზამთრო ნათესები.

სახელმწიფო საგეგმო კომისიების პრეზიდიუმთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 19 მარტი. დაიხურა სახელმწიფო საგეგმო კომისიების პრეზიდიუმთა საკავშირო ყრილობა.

ამხ. რიკოვის მისალმება

სხდომის დასასრულს ყრილობაზე გამოვიდა რიკოვი, რომელსაც მქუხარე ტაშისცემით ხვდებიან.

თავის მისალმებაში რიკოვმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საგეგმო ორგანოების პირველ საკავშირო ყრილობას, რომელმაც დიდი როლი უნდა ითამაშოს გეგმის პრინციპის განსამტკიცებლად სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ამხ. კრჟიჟანოვსკის საბოლოო სიტყვა

ყრილობა დაიხურა კრჟიჟანოვსკის საბოლოო სიტყვით, რომელიც აცხადებს:

ნება მომეცით რამოდენიმედ დავარღვიო ტრადიცია და სიტყვით ჯამი არ გაუკეთო დამთავრებულ ყრილობას.

უმჯობესი იქნება ყრილობას ჯამი გაუკეთოდ არა სიტყვით, არამედ საქმით და პრაქტიკული მუშაობით“.

ბრუსილოვის გარდაცვალება

მოსკოვი, 19 მარტი. 17 მარტს, ფილტვების კრუპოზული ანთებით გარდაიცვალა კავალერიის ყოფილი გენერალი ბრუსილოვი, რომელსაც თავის დროზე წითელ არმიაში ეჭირა კავალერიის ინსპექტორის თანამდებობა.

ბრუსილოვის ბიოგრაფია

მოსკოვი, 19 მარტი. ბრუსილოვი დაიბადა 1853 წელს. განათლება მიიღო პაჟების კორპუსში. მონაწილეობას იღებდა რუსეთ-ოსმალეთის ომში 1877-78 წ. იმპერიალისტურ ომში ბრუსილოვმა სახელი გაითქვა უმთავრესად 1916 წ. ზაფხულზე იერიშების მიტანით გალიციის ფრონტზე. ამ შეტევის დროს, განადგურებულ იქნენ ავსტრო-უნგრეთის არმიები, რასაც ყველა გერმანელი სამხედრო მწერლებიც აღიარებდენ. რევოლიუციის დასაწყისში ბრუსილოვი სხვა მაღალ სამხედრო პირებთან ერთად შეეცადა გავლენა მოეხდინა ნიკოლოზზე და დაეთანხმებია რომ ტახტიდან გადამდგარიყო. ალექსეევის დათხოვნის შემდეგ 1917 წელს, ბრუსილოვი დაინიშნა უმაღლეს მთავარსარდლად.

9 ივნისს, მოგილიოვის საბჭოს მისალმების საპასუხოდ, მან ასე განსაზღვრა თავისი როლი: „მე ვარ რევოლიუციონური არმიის წინამძღოლი, დანიშნული ამ საპასუხისმგებლო პოსტზე რევოლიუციური ხალხის და დროებითი მთავრობის მიერ პეტროგრადის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსთან შეთანხმებით. მე პირველი გადმოველი ხალხის მხარეზე, ვემსახურები მას და არასოდეს არ მივატოვებ“.

1917 წ. 19 ივლისს, კერენსკიმ დაითხოვა ბრუსილოვი მთავარსარდალის თანამდებობიდან და მის მაგიერ დანიშნა კორნილოვი.

1919 წელს, ბრუსილოვი შედის წითელ არმიაში. პოლონეთთან ომის დროს ბრუსილოვი სხვებთან ერთად ხელს აწერს მოწოდებას ხალხისადმი, რომელშიაც მოუწოდებს პოლონეთთან ბრძოლისაკენ ქვეყნის ნაციონალური მთლიანობის დასაცავად. წითელ არმიაში ბრუსილოვს ეჭირა კავალერიის ინსპექტორის თანამდებობა. 1924 წ. თავი გაანება სამსახურს.

პენსია ბრუსილოვის ქვრივს

მოსკოვი, 19 მარტი. საბჭოთა კავშირის რევ. სამხედრო საბჭომ დაადგინა, აღძრას საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა, რათა ბრუსილოვის ოჯახს დაენიშნოს პერსონალური პენსია, ხოლო ბრუსილოვის დასაფლავება მოხდეს რევოლიუციურ-სამხედრო საბჭოს ხარჯზე.

მწერალ ფურმანოვის დასაფლავება

მოსკოვი, 19 მარტი. 16 მარტს, 11 საათზე, გარდაცვალებულ მწერალის ფურმანოვის კუბოსთან გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

უკანასკნელად საპატიო ყარაულში იდგენ: რევ. სამხ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლაშევიჩი, სრულიად რუსეთის ცაკის მდივანი კისელევი და მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლიუბიმოვი.

სიტყვების დასრულების შემდეგ, განსვენებულის მეგობრებს გამოაქვთ ცხედარი წითელ კუბოში ჩასვენებული. ფურმანოვი დასაფლავებულია კომუნისტურ მოედანზე.

საწვრილმანო ფასების დაკლება

მოსკოვი, 19 მარტი. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა საწვრილმანო ფასების დაკლების მიზნით დაარსდეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გაერთიანებული კომისია კამენევის თავმჯდომარეობით და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის ძერჟინსკის მონაწილეობით.

ნაოსნობის გეგმა

ოდესა, 19 მარტი. საბჭოთა სავაჭრო ფლოტმა საბოლოოდ შეიმუშავა საგაზაფხულო და საზაფხულო ნაოსნობის გეგმა.

ყირიმ-კავკასიის ხაზისათვის ყოველკვირეულად დანიშნულია 4 სამგზავრო რეისი. საკურორტო სეზონისათვის საბჭოთა სავაჭრო ფლოტი ხსნის სპეციალურ სამხრეთ-სანაპირო ხაზს: გემები შევლიან სევასტოპოლსა, იალტასა, ალუპკაში. ეწყობა აგრეთვე აზოვის სამგზავრო ხაზი აზოვის ზღვის ნავთსადგურების საჭიროებისათვის.

ხერსონის და ნიკოლაევის ხაზებზე ეწყობა ყოველდღიური რეისები ღამ-ღამობით.

ახლო აღმოსავლეთის ნავთსადგურებთან კავშირის დასაჭერათ ეწყობა რეგულიარული ყოველკვირეული რეისები. რეისები ოდესის—ვლადივოსტოკის — შანხაი—კანტონის ხაზზე მოხდება თვეში ერთხელ.

აპრილის პირველ რიცხვებში გაიხსნება შავი ზღვის და ბალტიის ხაზი, რომლის მარშრუტი ასეთი იქნება: ოდესა-მარიუპოლი - ნოვოროსიისკი-ბათომი-ლივერპული-ჰამბურგი-ლენინგრადი მახლობლად მდებარე ნავთსადგურების გავლით. რეისი გაგრძელდება 28 დღე.

პარტიული ცხოვრება

ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა თათბირი

ადგილებიდან მოხსენებების შემდეგ ამიერ-კავკასიაში ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **სუტირინი**. მომხსენებელმა აღნიშნა სუსტი ხელმძღვანელობა ბეჭდვითი სიტყვაზე პარტიული ორგანიზაციების მიერ. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთ თავის უმთავრეს საგნად უნდა დაისახონ ამ საქმისადმი ხელმძღვანელობა. ამ თათბირმა,—სთქვა მომხსენებელმა,—ხელი უნდა შეუწყოს პარტიულ ორგანიზაციების მიერ ხელმძღვანელობის განმტკიცებას ბეჭდვითი სიტყვაზე. შემდეგ მომხსენებელი შეეხო, თუ როგორ გაიბერა ამიერ-კავკასია ჟურნალ-გაზეთებით. საერთო ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად, —სთქვა მომხსენებელმა,—რასაკვირველია, გაიზარდა მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილება; ეს უსათუოდ იწვევს მოთხოვნილებების ზრდას საერთოდ ლიტერატურაზე—ჟურნალ-გაზეთებზე და სხვადასხვა წიგნებზე; ამიტომ გამრავლდა ჟურნალ-გაზეთების და სხვადასხვა გამოცემათა რიცხვი. მაგრამ ამ ზრდამ უსათუოდ არანორმალური სახე მიიღო. საჭიროა ამ საქმის მოგვარება, ნორმალურ ჩარჩოებში ჩაყენება. უნდა გავატაროთ გაზეთ-ჟურნალების შემოკლება. იმდენი გაზეთი უნდა დავტოვოთ, რამდენიც საჭიროა ნამდვილად. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი გაზეთების გაშინაარსიანებას, გაჯანსაღებას. შემდეგ ამხ. სუტირინი შეეხო ჩვენი გამომცემლობების ნაკლულოვანებებს და აღნიშნა, რომ საჭიროა ამ საქმესაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, ხელმძღვანელობა აქაც გაძლიერებული უნდა იქნეს.

ამხ. სუტირინის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მთელ რიგ ამხანაგებმა. ეს ამხანაგები აღნიშნავდენ გაზეთებისადმი სუსტ ხელმძღვანელობას, რედაქციებში მომზადებულ ამხანაგების ნაკლებობას, სამხედრო განყოფილების თავის დონეზე დაყენებას და სხვ.

18 მარტს მუშაობა სწარმოებდა სექციებში.

მიმდინარე მომენტი და კომკავშირის ამოცანები

ამხ. ბუხარინის მოხსენება

კომკავშირის საკავშირო ყრილობაზე

მოსკოვი, 19 მარტი. ყრილობის 17 მარტის დილის სხდომაზე ბუხარინი ვრცელ მოხსენებას კითულობს მიმდინარე მომენტზე.

ბუხარინი დაწვრილებით შეჩერდა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობაზე, რომელსაც ერთი მხრით ახასიათებს ამერიკის როლის სიძლიერე მსოფლიო მეურნეობაში, ხოლო მეორე მხრით—დასავლეთ ევროპის ქვეყნების თანდათანობით დაქვეითება.

ეხება რა ბრძოლას ერთა ლიგაში გავლენის მოპოვებისათვის, ბუხარინი აღნიშნავს, რომ ეს არაჩვეულებრივი კინკლაობა, რომლის ღერძს ინგლისი და საფრანგეთი წარმოადგენენ, კიდევ უფრო ცხადყოფს ლოკარნოს შინაგან წინააღმდეგობებს. ეს არის დიპლომატიური ომი, რომელიც საუკეთესოდ მოწმობს იმას, რომ კაპიტალისტურ მსოფლიოს არ ძალუძს წინააღმდეგობათაგან თავის დაღწევა.

მეორე ფაქტორს, რომელიც ახასიათებს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, წარმოადგენს რევოლიუციური მოძრაობა ჩინეთში. უკანასკნელმა აიძულა ამერიკა, რომ ის შეერთებოდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს აქტიური კონტრრევოლიუციის ერთიან ფრონტს. თუ იმპერიალისტებმა შესძლეს რევოლიუციური მოძრაობის განადგურება ჩინეთში, რაც ძალიან საეჭვოა, შეგვიძლია დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ მეორე დღესვე მოკავშირეები ერთმანეთს დაერევიან ნადავლის გასაყოფად. გარდა ამისა ჩინეთის რევოლიუცია ცუდი მაგალითია ინდოეთისა და ინგლისის მეფის სხვა სამფლობელოებისათვის.

შემდეგ ბუხარინი აღნიშნავს, რომ მიუხედავად კრიზისებისა, კომუნისტურ ინტერნაციონალს აქვს მრავალი მნიშვნელოვანი მიღწევა. მაგალითად, ინგლისის კომპარტია ამჟამად დიდ პოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენს ინგლისში. დიდი მიღწევებია აგრეთვე საფრანგეთშიაც, სადაც კომპარტიამ მოახერხა თვით წვრილი გლეხობის და გაღარიბებულ წვრილ ბურჟუაზიის ჩაბმა რევოლიუციურ მოძრაობაში, მიღწევები გვაქვს გერმანიაშიაც და სხვა ქვეყნებშიაც.

ზოგიერთ ქვეყანაში ახლო მომავალში დიდ სოციალურ მოვლენებს უნდა ველოდეთ და კომპარტიების ამოცანაა მასების რევოლიუციურ გამოსვლების მოწყობა და მათი დონის აწევა წვრილ ინტერესებზე უფრო მაღლა.

მოხსენების მეორე ნაწილს ბუხარინი ანდომებს საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას.

„ჩვენს საერთო ხაზს—ლაპარაკობს ის—სამეურნეო ზრდა ახასიათებს. მაგრამ ჩვენს სამეურნეო ზრდას აფერხებს ზოგიერთი დაბრკოლებები, რომლებიც უსათუოდ უნდა გადავლახოთ და გავსწიოთ წინ.

პოლიტიკურ მხრით ჩვენი ცენტრალური ამოცანაა პროლეტარული კლასის მბრძანებელ მწვერვალების გამაგრება გლეხობის პოლიტიკურ აქტივობის ზრდასთან ერთად. კულაკობასთან ბრძოლის საუკეთესო იარაღია საშუალო გლეხის დაყრობა ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობის გზით. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სასოფლო-სამეურნეო კოპერაციას. აქ კომკავშირის წინაშე იხსება დიდი ამოცანა —კოოპერაციის სინდისიერ, კარგათ მომზადებულ და დახელოვნებულ მუშაკების აღზრდა.

დასასრულ ბუხარინი ჩერდება პარტიის გადაგვარების შესაძლებლობის საკითხზე.

„გადაგვარება— ლაპარაკობს ის—შესაძლებელია, თუ ჩვენ ეკონომიურად დაგვამარცხეს და სამეურნეო მბრძანებელი მწვერვალები მეორე კლასის ხელში გადავიდა, და მეორე მხრით,—თუ გაბატონებული პარტია კასტიურ ჩარჩოებში გაიყინა. უნდა ვებრძოლოთ კომუნისტურ ყოყოჩობას კომუნისტების უპასუხისმგებლობას განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის“.

17 მარტის საღამოს და 18-ის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ახალგაზრდათა კომინტერნის რუსეთის ა. ლ. კომკავშირის დელეგაციის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამხ. ლომინაძემ. მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი. ყრილობამ გამოჰყო კომისია ახალგაზრდათა კომინტერნის მუშაობის გარშემო რეზოლიუციის გამოსამუშავებლად.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა საფეიქრო სინდიკატის კომუჯრედში

ცოდნის მხრით ჩვენი უჯრედი იყოფა შემდეგნაირათ: 1 კატეგორიაში ირიცხება 12 კაცი; მე-2—12 კაცი; მე-3 — 6 და მე-4 —2 კაცი. ლენინის წრეში მუშაობს ერთი კაცი, პარტსკოლაში — 8 და ნორმალურში—13 კაცი.

უჯრედს გამოყოფილი ჰყავს აგიტკომისია. მის უმთავრეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ კომისიამ ვერ გაშალა მუშაობა, ვერ ჩააბა ამ მუშაობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ვერ ხელმძღვანელობს ადგილკომის კულტკომისიებს, და კომკავშირის აგიტპროპორგანიზაცია. კულტკომისიის სხდომებზე ერთხელაც არ ყოფილა დასმული საკითხი ამ ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. ამით აიხსნება, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობა მოისუსტებს.

უჯრედის ამოცანაა ამ ახლო მომავალში გამოაცოცხლოს აგიტკომისიის მუშაობა, ვერც ქალთა შორის მუშაობის კომისიის საქმიანობაა დამაკმაყოფილებელი, რასაც უჯრედმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამიერ-კავკასიის პროფკავშირების მესამე ყრილობა

კამათი ამხ. სემკოვის მოხსენების გარშემო

ბაქო, 19 მარტი. 17 მარტის საღამოს სხდომაზე გრძელდება კამათი სემკოვის მოხსენების გარშემო.

საბოლოო სიტყვაში სემკოვი შეეხო გამოსულ ორატორებს და აღნიშნა, რომ სამუშაო ხელფასის საკითხს წარსულ წელს ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მხრივ ჯეროვანი ყურადღება ჰქონდა მიქცეული.

პროფაქტივი უნდა იქნეს დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. მან დეტალურად უნდა შეისწავლოს მუშაობა, რადგან მასსა იზრდება, ამასთანავე იზრდება მისი ცნობისმოყვარეობა, ყურადღება, სინამდვილის გაგება და კრიტიკა.

მხოლოდ პროფაქტივის სათანადო სიმაღლეზე დაყენებით შეგვიძლია გადავსჭრათ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები.

რესპუბლიკების ეკონომიურად დაახლოებისათვის [illegible] ბრძოლა ამიერ-კავკასიის [illegible]სათვის, უნდა შთაუნერგოთ ეს იდეა პროლეტარიატის და გლეხობის ფართო ფენებს; ეს შეადგენს რესპუბლიკების პროფსაბჭოების და ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მოვალეობას. უნდა გამოვსჭედოთ პროლეტრიატის მთლიანობა მომავალი ბრძოლისათვის, მსოფლიო რევოლიუციისათვის.

ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია:

„ამიერ-კავკასიის პროფკავშირების მესამე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ, იწონებს და სთვლის სწორად მის ხაზს და მის მიერ წარმოებულ მუშაობას“.

18 მარტის დილის სხდომა

18 მარტის დილის სხდომაზე ამხ. იაშვილმა გააკეთა მოხსენება ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ

მიუხედავათ იმისა, რომ მრეწველობაში ჩავაბით მუშების ახალი რაზმები, უმუშევრობა გაიზარდა 11 პროცენტით. ამ ჟამად ამიერ კავკასიაში ირიცხება 46.000 უმუშევარი, აქედან კვალიფიციურია მხოლოდ 5.000 კაცი. გაიზარდა ქალების და მოზარდების უმუშევრობა. ამ ზრდას სისტემატიური ხასიათი აქვს. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა ვებრძოლოთ ამ მოვლენას.

უმუშევრობასთან საბრძოლველად, საზოგადოებრივ სამუშაოების და შრომის კოლექტივების მოსაწყობათ წარსულ წელს გაღებულ იქნა 800.000 მანეთი.

ინტენსიური ბრძოლა ამ სფეროში არ უნდა იქნეს შესუსტებული.

მომხსენებელი დიდ ყურადღებას აქცევს კვალიფიციური ძალების მომზადების საკითხს და აღნიშნავს მხვილი სამეურნეო ორგანოების უყურადღებობას ამ საკითხის მიმართ.

ახლო მომავალში მრეწველობისათვის საჭირო იქნება 10.000 კვალიფიციური მუშა, ეს აფერხებს მომზადების ამოცანას.

შრომის დაცვის სფეროში გამოკვლევათა რიცხვი გაიზარდა.

მომხსენებელი აღნიშნავს უბედურ შემთხვევათა რიცხვის გადიდებას. საჭიროა გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა ამ მიმართულებით. ტეხნიკურ ნაკლულოვანების ლიკვიდაციასთან ერთად საჭიროა მუშათა მასების გაცნობა უშიშროების საკითხების.

დაზღვეულთა რაოდენობა 1924 წელთან შედარებით გაიზარდა 8 პროცენტით. მათი რიცხვი ამ ჟამად უდრის 282.000 კაცს.

დამზღვევი სალაროების შემოსავალი 1924 წლის 6 მილიონიდან 1925 წ. გაიზარდა 13 მილიონამდე, ეს თანხა სავსებით დახარჯულია. თვითეულ დაზღვეულზე დაიხარჯა 71 მან. და 86 კაპ.—1924 წლ. 46 მანეთის წინააღმდეგ.

გაიზარდა ინვალიდების დახმარებაც.

სტატისტიკური ცნობების თანახმად საცხოვრებელი ბინა ესაჭიროება 27.000 კაცს. მიმდინარე წელს განზრახულია 2.700 ბინის აშენება, რასაც მოუნდება 10.000.000 მანეთი.

იაშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 20 დელეგატმა.

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა აღნიშნა ის ზომები, რომლებიც მიღებულია კონფლიქტების გადაჭრის დასაჩქარებლათ.

ინსპექტორების ავტორიტეტი გაიზარდა. საკონფლიქტო მუშაობას სოფლად, რომელიც დაიწყო ამ ცოტა ხნის წინად, მრავალი ნაკლი აქვს. მიღებულია ზომები მათ მოსასპობათ.

კვალიფიციური ძალების მომზადების საკითხი ორგანიზაციულად გადაჭრილია—მალე გაიხსნება შრომის ცენტრალური ინსტიტუტის განყოფილება ცალკე დარგების მიხედვით.

ყრილობამ მოიწონა ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის მუშაობა და მის მიერ აღებული ხაზი სწორად სცნო.

სახალხო მეურნეობის მდგომარეობა

საღამოს სხდომაზე ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარი **გუსეინოვი** მოხსენებას კითხულობს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის მდგომარეობაზე.

მისალმებანი

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა პროფინტერნს, ა.-კ. ცაკს, ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმს, საფრანგეთის კომპარტიას და რევოლიუციონურ პროფკავშირებს.

ეკონომიური ცხოვრება

ა.-კ. ფინსახკომში

გადასახადი საარჩევნო უფლება ჩამორთმეულ მოქალაქეებზე

საბჭოთა კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, შემოღებულია სპეციალური სამხედრო გადასახადი ზურგის ნაწილებში ჩარიცხულ მოქალაქეებზე (ე. ი. იმ მოქალაქეებზე, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება ან გადასახლებული არიან ადმინისტრატიული წესით).

აღნიშნული გადასახადი აკრეფილი უნდა იქნეს მხოლოდ მშვიდობიან დროს, ამასთანავე პირველი ორი წლის განმავლობაში გადიდებული რაოდენობით.

მიმდინარე წელში სამხედრო გადასახადის აკრეფა დაიწყება პირველი აპრილიდან. ამასთანავე იმ მოქალაქეებმა, რომლებიც იხდიან საშემოსავლო გადასახადს და ამასთანავე ვალდებული არიან გადაიხადონ სამხედრო გადასახადიც, ეს უკანასკნელი უნდა შეიტანონ საშემოსავლო გადასახადთან ერთად ნახევარ წელში ერთხელ; აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებს, რომლებიც იხდიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, სამხედრო გადასახადი გადახდებათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან ერთად.

აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებს, მიმდინარე წელში გადახდებათ სამხედრო გადასახადის ნახევარი.

ნარჩენების შესახებ

ა.-კ. ფინსახკომმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ფინსახკომებს, მიიღონ გადამწყვეტი ზომები მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენების ასაკრეფად.

ნარჩენები აკრეფილი უნდა იქნეს იძულებითი წესით საურავის დარიცხვით; საურავი პირველი მარტიდან ერთ-მეათედ პროცენტიდან გადიდებულია ერთ-მეხუთედ პროცენტამდე.

რესპუბლიკანურ ფინსახკომებს წინადადება მიეცა აგრეთვე თვალყური ადევნონ ადგილობრივ საფინანსო ორგანოების მუშაობას და პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებიც დამნაშავე იქნებიან გადასახადის სუსტათ აკრეფაში.

გადასახადები მხატვრებზე

ა. კ. ფინსახკომის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციის თანახმად, მხატვრები გადასახადების გადახდაში გათანასწორებული არიან დაქირავებულ მუშაკებთან იმ შემთხვევაში, თუ მათ უფლება აქვთ იყონ პროფესიონალურ კავშირის წევრი და სამუშაოს იღებენ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების საშუალებით ხელოვნების მუშაკთა კავშირის მიერ დამტკიცებულ ხელშეკრულებების თანახმად.

ფონდები საგზაო მშენებლობისათვის

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიიღო პროექტი დეკრეტისა საგზაო მშენებლობის ფონდების დაარსების შესახებ.

როგორც საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ ა. კ. საგზაო მშენებლობის პერსპექტიულ გეგმიდან სჩანს, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად და გასაუმჯობესებლად ხუთი წლის განმავლობაში საჭირო იქნება 38.620.000 მან. საგზაო ბეგარიდან და საფუთო გადასახადიდან ხუთი წლის განმავლობაში შეიძლება მიღებული იქნეს დაახლოვებით 27.400.000 მანეთი.

ეს თანხა, რასაკვირველია, საკმარისი არაა. საჭიროა გამონახული იქნეს დანარჩენი 11.220.000 მანეთი. ეს თანხა, რომელიც რეალური მოსაზრებით გადიდებულ უნდა იქნეს 15.000.000 მანეთამდე, ხუთი წლის განმავლობაში, მიღებული უნდა იქნეს ორი წყაროდან—სპეციალურ რესპუბლიკანურ საგზაო ფონდებიდან და საგზაო მშენებლობისათვის საჭირო მასალების შესაძენად დაწესებულ შეღავათებიდან.

საგზაო მშენებლობის ფონდების დაარსება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების შესანახავათ არ კმარა პროცენტები საფუთო სამიზნო გადასახადიდან, რომლებიც ამ მიზნისათვისაა გადადებული.

იმის შემდეგ, რაც გაუქმებულ იქნა 10 პროცენტიანი ანარიცხი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გადასახადებიდან, რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების შესანახავი თანხები შეტანილი არ ყოფილა 1925—26 წლის ბიუჯეტში; ამ არანორმალური მდგომარეობის გამოსასწორებლად საკავშირო სუბვენციის (დახმარების) ფონდიდან ამიერ-კავკასიის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საჭიროებისათვის გადადებულ იქნა 1.700.00 მანეთი.

სწორედ ეს თანხა იქნება წელს გამოყენებული რესპუბლიკანური გზების შესაკეთებლათ. ეს თანხა დაახლოვებით შეადგენს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების 1925—26 წლის ბიუჯეტების (სამი ბიუჯეტის საერთო თანხა უდრის 48.066.327 მანეთს) 3,5 პროც. და ის საკმარისი არაა საგზაო მშენებლობის განსავითარებლათ. ამიტომ საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა საგზაო მშენებლობის განვითარებისათვის რესპუბლიკანური ბიუჯეტებიდან გამოყოფილი იქნეს სპეციალური ფონდი, რომელიც მოხმარდება რესპუბლიკანური გზების საჭიროებას; ეს ფონდი უნდა უდრიდეს სამივე რესპუბლიკების ბიუჯეტის 4 პროცენტს.

რაც შეეხება მეორე წყაროს—შეღავათებს საგზაო მშენებლობისათვის საჭირო მასალების შეძენის დროს, აქედან მოსალოდნელი თანხების სისწორით გამოანგარიშება ჯერჯერობით შეუძლებელია; ყოველ შემთხვევაში ეს თანხა უნდა აღემატებოდეს 300.000 მანეთს.

საგეგმო კომისიის მიერ მიღებულ დეკრეტის ძალით, სატყეო მასალა რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებს უნდა მიეცეს საბაზრო ფასის 50 პროც. შემცირებით, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს კი—უფასოდ; რაც შეეხება ქვას, სილას და თიხას, ისინი ორივე კატეგორიის გზებს უნდა მიეცეს უფასოდ.

შაქრის შემოტანა

მიმდინარე წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიისათვის საჭირო იქნება 1.900.000 ფუთი შაქარი; შაქრის ეს რაოდენობა შემოტანილი იქნება შაქრის ტრესტის ადგილობრივი განყოფილებების მიერ.

ზემოაღნიშნულ რაოდენობიდან შაქრის ტრესტის თბილისის კანტორა მიიღებს 1.000 ვაგონ შაქარს; ეს შაქარი განაწილებული იქნება საქართველოსა და სომხეთს შორის. შარშან თბილისის კანტორის მიერ საქართველოსა და სომხეთის საჭიროებისათვის მიღებული იყო 720 ვაგონი შაქარი.

შაქრის ტრესტის თბილისის კანტორას განზრახული აქვს გახსნას თავისი სააგენტოები კარაკლისში, ბორჯომში და წნორის-წყალში.

აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის გამოკვლევა.

1923 წლის მაისში აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს ინიციატივით შედგენილ იქნა 5.000 ცხ. ძალიან ჰიდრო-ელექტრო სადგურის პროექტი, რომლის მიხედვით სადგური აგებული უნდა ყოფილიყო მდ. აჭარის-წყალზე.

ამ სადგურისათვის ჯებირების შერჩევის დროს ელექტრონის მთავარ სამმართველოს ცენტრალურმა ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო აგებული ყოფილიყო ქვის ჯებირი.

მაგრამ ასეთი ტიპის ჯებირისათვის ყოველთვის საჭიროა წყალის შესაჩერებელი ნაშენები, რომ ადიდებულმა მდინარემ არ დაანგრიოს ჯებირი.

სადგურის პროექტში ჯებირის ღირებ.-ება ნავარაუდევი იყო 2.709.000 მან., მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ჯებირი დამხმარე ნაშენებთან ერთად დაჯდება 4.920.000 მანეთი.

ნავარაუდევ თანხების ასეთი შეუთანხმებლობის გამო, საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად მოსკოვში გაგზავნილი იყვენ ამიერ-კავკასიის და საქართველოს საგეგმო კომისიის წარმომადგენლები სადგურის საამშენებლო კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად.

ამ საკითხის საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიაში გარჩევის დროს საგეგმო კომისიის ელექტროფიკაციის სექციამ საჭიროთ სცნო ჯებირის სამი ვარიანტის შემუშავება.

ამის გამო, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაადგინა საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან დაარსდეს სპეციალური ტეხნიკური კომისია დამატებითი ვარიანტების დასამუშავებლად.

ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნა საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ, რომელმაც აუცილებლად სცნო გეოლოგიური გამოკვლევების სასწრაფოდ დაწყება და იმ სამუშაოების შეჩერება, რომელთა გაგრძელება შეუძლებელია გამოკვლევის გამო.

საბჭოთა საქართველო

ცაკის თავმჯდომარე გორის სამაზრო ყრილობაზე

14 მარტს, საღამოს 6½ საათზე გაიხსნა კლუბის შენობაში საბჭოების მეოთხე სამაზრო ყრილობა. კრება გახსნა ამხ. ვ. ქურდაძემ, მან მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა ყრილობას.

შემდეგ ყრილობას საქართველოს მთავრობის სახელით ესალმება ამხ. **ფილიპე მახარაძე**. ჩვენი საბჭოები,—სთქვა ამხ. ფილიპემ, არის ფართო მასის ორგანიზაცია, აქტიური მონაწილე სახელმწიფოს მშენებლობისა. ჩვენი ბელადის ილიჩის სიტყვით, მზარეული ქალიც უნდა გავხადოთ სახელმწიფოს მმართველათ. ამას ემსახურება საბჭოები.

ამ ორი წლის წინათ ჩვენი საბჭოები არ გავდენ დღევანდელ საბჭოს, დღევანდელი საბჭოები მიზნათ ისახავს ფართო მასასთან კავშირს, იმისათვის, რომ ყველა მშრომელი ჩაბდეს სოციალისტური წყობილების მშენებელი. საბჭო უნდა იყოს სწორი გამომხატველი სოფლის გლეხკაცობის ინტერესებისა. მისი მიზანია სოფლის წინ წაწევა, როგორც კულტურულათ ისე ზნეობრივათ, ისე ეკონომიურათ.

საბჭოებმა უნდა ჩააბან გლეხი ქალები მუშაობაში.

ჩვენ უნდა შევასრულოთ ის როლი, რომელიც ისტორიამ დაგვაკისრა და მეტი სიხალისით და ენერგიით მოვკიდოთ საერთო საქმეს ხელი. ამხ. ფილიპეს უკანასკნელ სიტყვებს ფარავს მხურვალე ტაში და ვაშას ძახილი.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ პარტკომის მდივანი **ალ. ქებაძე**, ხაშურის მუშების წარმომადგენელი, ბორჯომის ხეობიდან გლეხი **ალმ. მელაშვილი**, პიონერებიდან და სამთავისის კომუნიდან.

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა. მეორე სხდომაზე მოსმენილი იქნება საქართველოს მთავრობის ანგარიში.

სიკო.

ფილოქსერა დაძლეულია
(წინანდალი, კახეთი)

ამ ჟამად კახეთში დიდი მუშაობა სწარმოებს ვენახების განახლებისათვის. გლეხობა უკვე უიმედოთ არ უყურებს ფილოქსერის მიერ მიყენებულ ზარალს.

ყოველ სოფელში, ყველა უბანში, ვისაც კი ხელი მიუწვდება და ნამყენის შოვნის იმედი აქვს, ორი ბარის პირზე აბრუნებს მიწას. ნამყენის კეთების სასწავლადაც წინანდლის სახალხო მამულში და კონდოლის სანერგეში ახლო მახლო სოფლებიდან ბევრი ვაჟები და ქალები დაიარება.

ვენახების სასწრაფოდ აღდგენას აბრკოლებს ვაზის „სადედიკო" და სათფურების სიმცირე. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს, რომ საზღვარ-გარეთიდან არ გამოეწერა ლერწი, ეხლა დიდი ნაკლებობა იქნებოდა, ვინაიდან ადგილობრივი ლერწი ძალიან ნაკლებად მოიპოვება. წარსულ წელში საზღვარ-გარეთიდან მოტანილ მწარე ლერწისაგან გაკეთებული ნამყენი, ბევრგან დაზარალდა, რადგან ლერწი გამშრალი აღმოჩნდა. წელს ლერწი მცოდნე პირების თქმით, კარგი ღირსების უნდა იყოს.

საუკეთესო დახმარებას უწევს გლეხებს ნამყენის მიწოდებით კირისხევის „ვენახების აღმდგენი ამხანაგობა".

1923 წელს, როდესაც ნამყენზე მოთხოვნილება გაიზარდა, დაარსეს არტელი, სადაც პირველად იყო 5 კაცი. ამჟამად ს. კირისხევის „ვენახების აღმდგენ ამხანაგობაში" ირიცხება 86 წევრი. ამხანაგობას აქვს შემუშავებული წესდება, რომლითაც საწევრო გადასახადი განისაზღვრება—1 მან., საპაიო—5 მან., საწილო 20 მან. შეიძლება წევრი მხოლოდ საწევროს და საპაიო გადასახადით შევიდეს ამხანაგობაში და საწილო არ შეიტანოს. მაშინ იგი მხოლოდ თავისთვის გაიტანს ნამყენს. ამხანაგობის მიერ გაყიდულ ნამყენის მოგებიდან მას წილი არ ექნება.—ყველა საქმიანობას თვით მონამყენენი აკეთებენ: დაბარვა, ნამყენის კეთება, მოვლა, გათოხნა, მოწამლა და სხვა. 86 კაციდან—70 კ. მონამყენეა.

თუ ამხანაგობას ამ ორი წლის განმავლობაში, როგორ დაუტრიალებია საქმე. ეს სჩანს იქიდან, რომ გასულ საოპერაციო წლის მოგებიდან გადაურიცხიათ სათანადო თანხაში 332 მან. და საპაიო თანხაში 200 მანეთი. ამხანაგობას აქვს აგრეთვე ქონება, რომლის სიმდიდრეს შეადგენს:

საკუთარი შენობა— ღირებული 3,000 მან., ნამყენი ვენახი 600 კ. საჟ., ბაღი ხეხილის 200 კვ. საჟ., 2 დესიატინა ამერიკული ვაზის „სადედე",1 დესიატინა გამზადებული ადგილი, სადაც უნდა დაჰკონადეს ნამყენი.

ამჟამად, ამხანაგობა აპირებს სათბურის აშენებას, რომლისთვისაც დასჭირდება 3,000 მანეთი, იგი დიდ დახმარებას გაუწევს გლეხებს.

თუ ასეთი ამხანაგობა სხვა სოფლებშიაც დაარსდა და მიზნად მხოლოდ მოგება დაისახეს,—უეჭველია ვენახების აშენების საქმე ჩქარი ტემპით წავა წინ.

სამსონ ჩუცაიძე.

თესვის დრომ მოაწია

გაზაფხული დადგა. სოფელი გაცხოველებულ სამზადისშია, სადაცაა დაიწყება მინდორ-ყანების დამუშავება. იმაზე, თუ რამდენათ დროულათ და ხეირიანათ იქნება დამუშავებული სათესი მიწები, ბევრათაა დამოკიდებული მოსავლის ბედი.

ცნობილია, რომ ადრე ნათეს ყანებს გვალვაც ნაკლებათ ვნებს და ზედმეტი ავდრებიც. ამიტომ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები, რომ რაც შეიძლება დროულათ მოხდეს სახნავ-სათესი მინდვრების დამუშავება. აქ ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ გლეხობას.

კულაკობა და სოფლის შეძლებული მცხოვრებლები, როგორც ყოველთვის, აქაც ნაკლებ ხელმოკლეობას განიცდიან. მათ ყველაფერი საკმარისად აქვს: თესლი, მუშა საქონელი, სახნის-გუთანი და, თუ დასჭირდათ, დაქირავებულ მუშა-ხელსაც დაიხმარებენ.

სულ სხვა მდგომარეობაშია ღარიბი გლეხები. მათ ან თესლი აკლიათ, ან ხარი არ ჰყავთ, ან სამუშაო იარაღები არ გააჩნიათ. ზოგჯერ კი არც ერთის პატრონია ღარიბი გლეხი, არც მეორეს და არც მესამეს. გარდა ამისა სოფლად ბევრია ისეთი ოჯახებიც, რომელთაც არა ჰყავთ საკუთარი მუშა-ხელი. ასეთებია: ქვრივ-ობლები, წითელარმიელთა ოჯახები, დაავადებულ ღარიბ გლეხთა მეურნეობები და სხვა.

მთელი ყურადღება მიმდინარე თესვის კამპანიის დროს ამ ოჯახებისაკენ უნდა იქნას მიპყრობილი. არასოდეს ჩვენ გლეხკომებს ისეთი უნარიანობა და ფხის გამოჩენა არ სჭირდებათ, როგორც ეხლა, როგორც გაზაფხულის თვეებში. გლეხკომებმა უნდა მოახდინონ მთელი თავიანთი ძალების მობილიზაცია, რომ შეუმსუბუქონ ღარიბ გლეხთა ოჯახებს თესვის კამპანიის ჩატარება.

აქ საჭირო იქნება ღარიბ გლეხების შეკავშირება, მათი ცოცხალ და მკვდარ ინვენტარის დროებით შერთება, ცალკე ჯგუფების შედგენა, რომ საერთო ძალით მოხდეს მინდვრების დამუშავება. იქ, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს და საშუალება ექნება, უნდა მიეცეს ღარიბ გლეხებს ფულადი დახმარებაც. ამასთანავე გლეხკომებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები გადარჩეულ თესლის შესაძენად და ღარიბ გლეხებისათვის დასარიგებლად, რომელთაც ასეთი არ ექნებათ და სხვა.

აშკარაა, აქ მარტო გლეხკომები მიზანს ვერ მიაღწევენ, თუ ამ დიდ საქმეში მათ დახმარება არ აღმოუჩინა სოფლის ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებმაც, კანსაკუთრებით კი კოოპერაციამ.

თესვის კამპანია იწყება, მაზე ბევრათა დამოკიდებული გლეხის წლიურ სარჩო-საბადებლის ბედი. დავეხმაროთ ასეთ საპასუხისმგებლო დროის გლეხობას.

ბლალი.

თავნება კონტროლიორები
(თელავი)

დიდი ხანია ელოდა თელაველი მოქალაქე რამდენადმე მაინც ხალვათიან და მოწყობილ სახალხო სახლის აშენებას, როგორც იქნა, ეს ოცნება მას სინამდვილეთ გადაექცა და წარსულ ზაფხულში თელავში გაიხსნა სამაზრო ქალაქის პირობაზე საუცხოვო სახალხო სახლი.

მაგრამ, რამდენადაც საუცხოვოა ეს შენობა თავის მოყვანილობით და მოწყობილობით, იმდენად უცნაურია მისი ადმინისტრაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადმინისტრაციის შეუფერებელი ქცევა საზეიმო სხდომაზე. როგორც მოგეხსენებათ, ასეთ შემთხვევებში, თეატრს დიდი ხალხი აწყდება. ამიტომ ბილეთები წინდაწინ ნაწილდება მუშა- მოსამსახურეებში პროფკავშირის საშუალებით.

მაგრამ ბილეთები სრულიადაც არაა საჭირო, თუ თეატრის გამგეს და კანტროლიორებს დაუჯერებთ. თეატრის კარები მათთვის არის ფართედ ღია, ვისაც ბედმა მოხედა და გამგე ან კანტროლიორი ნათესავად ან ძმაბიჭად გაუხდა. შედის დარბაზში უბილეთო ხალხი, ხოლო ბილეთიანები კარებთან არიან ატუზულნი და თუ კრინტი დასძრეს—გამგეს პასუხი მზათა აქვს: „ენას კბილები დააჭირე, თუ არ გინდა ვირის აბანოში ამოჰყო თავი"-ო.

აი პირველი მაგალითი: წითელ სახელოსნოს მუშა კ. ბაბუევს აგილკომმა მისცა ბილეთი საზეიმო სხდომაზე დასასწრებლად. სანამ ბაბუევი მუშაობას მორჩებოდა, ტანისამოსს გამოიცვლიდა და თეატრში მოვიდოდა, დარბაზი უკვე გაჭედილი იყო ხალხით. კანტროლიორმა ის უარით გამოისტუმრა, ხოლო იმის თვალწინ შეუშვა თეატრში რამდენიმე სხვა პირები.

მეორე მაგალითი: 8 მარტს, ჯერ დარბაზი ნახევრად სავსე არ იქნებოდა, რომ კანტროლიორები გაიძახოდენ: „ჩაიარეთ, ადგილი არ არისო". ამხ. ა. როსტომაშვილის ცოლი უკვე დარბაზში იყო. მასაც ბილეთი ეჭირა ხელში და სთხოვდა შემოშვით თეატრში. კანტროლიორები ცივ უარზე იყვნენ და თანაც მილიციით იმუქრებოდენ. მაგრამ მოვიდა ლადო ბერძენიშვილი, მან როსტომაშვილს გამოართვა ბილეთი და ის კანტროლმა არხეინათ გაატარა.

გაბრაზებულმა როსტომაშვილმა გამოუძახა დარბაზიდან ცოლს და სრულიად დასტოვა თეატრი. ამის შემდეგ რა აზრი აქვს ბილეთების დარიგებას სალაროდან ან პროფკავშირების საშუალებით?

ორნი.

საჭიროა სასადილო
(ნიგოითი, გურია)

ჩვენი თემი მდებარეობს რკინის გზის ხაზის გასწვრივ. აქვე არის სადგური, სადაც ჩამოდიან გლეხები სამხრეთ - აღმოსავლეთ გურიიდან და მიემგზავრებიან ქალაქებში. სათემო დაწესებულებები ყველა აქ არის მოთავსებული, არის აგრეთვე მრავალი სავაჭრო დაწესებულებანი. ყოველ კვირაობით იმართება ბაზრობა და დიდძალი ხალხიც ესწრება გურიის სხვადასხვა კუთხებიდან. ეს ხალხი უვარდება ხელში ჩარჩმიკიტნებს, რომლებიც ამ ბოლო დროს ძლიერ გამრავლდენ, და რომლებსაც არავითარი ნიხრი და ფასი არ აქვთ საქონელზე.

ყოველივე ეს რომ აცილებულ იქნეს თავიდან ამისათვის საჭიროა ადგილობრივმა კოოპერატიულ „ეპოს" გამგეობამ იზრუნოს „წითელ სასადილოს" გახსნაზე.

წითელი სხივი.

არჩევნები აქაც ჩატარდა
(გომბორი, თელავის მაზრა)

საბჭოთა არჩევნები გომბორში 24 თებერვალს მოხდა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 71 პროცენტმა. არჩეულია 31 წევრი. მათ შორის 5 კომუნისტი, 4 კომკავშირელი, დანარჩენი უპარტიო. დეპუტატთა შორის 4 ქალია.

როსნაძე.

კოჯრი ნაცარში ჩაუვარდა
(წითელ ქალაქი, გორის მაზრა).

ჩვენს თემში არის ისეთი ხალხი, რომელთაც არა აქვთ გარკვეული პროფესია. არჩევნებისათვის მზადება მათ ყველაზე უფრო გაცხოველებით დაიწყეს და შეეცადენ გაეყვანათ საბჭოში თავისიანები (წვრილი ვაჭრები). რასაკვირველია განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მზადებასაც თავისებურად შეუდგენ: გაშალეს სუფრა, დაატრიალეს სადღეგრძელოები წითელი კახურით და გამოათვრეს შეუგნებელი რამოდენიმე პროფკავშირის წევრი.

მთელი ღამის განმავლობაში შეზარხოშებულთა მრავალჟამიერ აყრუებდა კუთხეს. სიმღერასა და ქეიფის დროს არჩევნებში მონაწილეობის გეგმასაც აწყობდენ.

მაგრამ არც პარტიულ კომიტეტს ეძინა. მან შეაკავშირა ულარიბესი გლეხობა, გააბა კავშირი საშუალო გლეხებთან და შეერთებული ძალით გაანიავა ვაჭრუკანების გეგმები. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დროს ზოგიერთი შეუგნებელი პროფკავშირის წევრიც გამოდიოდა ჩარჩების სასარგებლოდ, საბჭოში მათ მაინც ვერავინ გაიყვანეს.

ეს იმიტომ, რომ პარტიის და კომკავშირის წევრები და გლეხები შეკავშირებული გა-

ეკალი.

ბუკის ციხე (გურია)

საექიმო პუნქტის გახსნაა საჭირო. თემში იყო გახსნილი საექიმო პუნქტი და აფთიაქი რამოდენიმე ხნის უკან ექიმი სხვა თემში გადაიყვანეს და პუნქტი დაიხურა. სოფელში ისევ ამუშავდენ ექიმბაშები. მათ „მუშაობას" სამი კაცი შეეწირა მსხვერპლად.

საჭიროა საექიმო პუნქტის გახსნა.

კლ. ქორიძე.

სად. ჭალადიდი (სენ. მ.)

დაკიდეთ საათი. სადგურში მგზავრებისათვის კედლის საათი არ არის. მგზავრებს უხდებათ დროს გასაგებათ სამორიგეო ოთახში შესვლა. მგზავრებიც შეწუხებულნი არიან და სადგურის მორიგეც.

გ. ახირებული.

სოფლის ქრონიკა

◆ **კლუბი.** სოფელ პატარა ონში (რაჭა) სათემო აღმასკომი შეუდგა კლუბის აგებას.

◆ **გორის** აღმასკომმა გადაწყვიტა ქალაქში მოაწყოს ცენტრალური ამბულატორია.

◆ **გლეხკომების მუშაობა.** გორის სამაზრო გლეხკომმა დაავალა სათემო გლეხკომებს ყოველ სამ თვეში ერთხელ ჩაატარონ გლეხთა ყრილობები თავიანთი მუშაობის ანგარიში.

◆ **სოფ. ხანჭკარაში** (რაჭა) გაიხსნა აფთიაქი.

სოფლის ფოსტა

— მაყურებელს (აკეთი, გურია). წერილი გადაიგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

კოოპერაცია

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-11 ყრილობის რეზოლუცია

ცეკავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიის და საბჭოს მოხსენებათა შესახებ

ცეკავშირის რწმუნებულთა საზოგადო ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისისა 1924-25 საოპერაციო წელში ცეკავშირის მოქმედების შესახებ და ფინანსიური ანგარიში ამავე წლისა, პირველ ყოვლისა აღნიშნავს ობიექტიურ პირობებს, რომლებშიაც უხდებოდა მუშაობა აღნიშნულ საოპერაციო წელში ცეკავშირს, სახელდობრ:

1. საანგარიშო წელს კიდევ ვერ იყო მოწესრიგებული ქალაქსა და სოფელს შორის სავაჭრო აღებ-მიცემობა, რის მიზეზია საქალაქო-სამრეწველო ფაბრიკატების სიმცირე;

2. გამოურკვეველი იყო დამოკიდებულება სახელმწიფო მრეწველობასა და კოოპერატივების ცენტრებს შორის საანგარიშო წლის პირველ ნახევარში, რაიც მდგომარეობდა სახელმწიფო მრეწველობის მიერ ცენტრების უშუალოდ თავისი პროდუქციის ძირითად კოოპერატივებისადმი მიწოდებაში, რითაც აიხსნება მცირე საოპერაციო დამოკიდებულება ცეკავშირსა და პერიფერიის შორის;

3. ცვალებადობა და მძიმე პირობები სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკრედიტო დაწესებულებების ფინანსიური პოლიტიკისა, რაიც გამოიხატებოდა არა საკმაო რაოდენობით კრედიტების გახსნაში და უკვე გახსნილ კრედიტების შემცირებაში, კრედიტების ვადების შეუთანხმებლობაში საქონლის ნორმალურ ტრიალის სისწრაფესთან და უზომო დიდ საბანკო პროცენტებში, რითაც აისნება ზედნადებ ხარჯების სიდიდე ბრუნვასთან შედარებით, სახელდობრ; 12 პროც., რომლის თითქმის ნახევარი შეადგენს პროცენტებს ნასესხ თანხებზე;

4. ძირითად კოოპერატივების ფინანსიური სისუსტე, მაგარი და დისციპლინიანი კოოპერატიული ფრონტის უქონლობა და, როგორც შედეგი, ცენტრის შესუსტება;

5. შეუთანხმებლობა შინა-ვაჭრობის კომისარიატის ფასების პოლიტიკისა კოოპერატიულ ვაჭრობის თვისებებთან და ხასიათთან, რამაც ხელი შეუწყო ცეკავშირის დეფიციტიანობას, რადგანაც ეს უკანასკნელი იძულებული იყო საქონელზე დაედო მოგება საშუალოდ 5 პროცენტი მაშინ, როდესაც მთელი საკავშირო მასშტაბით ცეკავშირის მაგვარი კოოპერატიული ცენტრები, თანახმად ცენტროსოიუზის დირექტივისა, საქონელზე ადებენ მოგებას 8 პროცენტს;

6. სახელმწიფო მრეწველობისაგან საქონლის მიღება იძულებული ასორტიმენტით, რაიც ართულებდა ისედაც სუსტ ფინანსიურ მდგომარეობას და შეუძლებლად ხდიდა მოკლევადიან ნასესხ თანხებით სასურველად სარგებლობას.

ყრილობა მეორეს მხრივ აღნიშნავს შემდეგ პირობებს, სახელდობრ:

1. გამგეობის აქტიურ ნაწილის, განსაკუთრებით თავმჯდომარის ხშირი ცვლა და აგრეთვე არა საკმაო რიცხვი გამგეობის აქტიურ წევრთა, რის გამოც ზოგიერთი საპასუხისმგებლო განყოფილებანი დატოვებულ იყო გამგეობის უშუალო ხელმძღვანელობის გარეშე, 2) საკუთარ თანხების სრული უქონლობა, 3) ოპერატიულ გეგმის და მოკავშირე კოოპერატივებისათვის მტკიცე საკრედიტო ლიმიტის უქონლობა, რომლის შედეგადაც უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ კოოპერატივებისათვის გახსნა კრედიტისა იმ ზომით, რომელიც არ შეეფერებოდა მის სამეურნეო საქმიანობას, 4) საზარალო განყოფილებათა და საწარმოო წამოწყებათა დაგვიანებით ლიკვიდაცია და გაუნაღდებლობა მათში ჩაბანდებულ თანხებისა, 5) ხარჯების და შტატის სიდიდე, 6) საორგანიზაციო მუშაობა ვერ იყო დაყენებული შესაფერ დონეზე, სახელდობრ: არ არსებობდა სამეურნეო ინსტრუქტაჟი მოკავშირე კოოპერატივებისათვის.

ზემოაღნიშნულის გამო ყრილობა ადგენს:

დამტკიცებულ იქნას 1924/25 წლის ფინანსიური ანგარიში და მიღებულ იქნას ყველა ზომები ცეკავშირის ბალანსის გასაჯანსაღებლად.

1. დაევალოს გამგეობას აღძრას შუამდგომლობა კომისართა საბჭოს წინაშე რომ საქონელზე საბითუმო და საწვრილმანო ფასების დაწესების დროს საქონლის დანარიცხის მხრივ ცეკავშირი ჩაყენებულ იქნას იმავე პირობებში, რომლებშიაც იმყოფებიან საბჭოთა რუსეთის კოოპერატიული ცენტრები და მიეცეს მას საშუალება 8 პროცენტამდე, რათა შემდეგში მაინც აიცილოს ზარალი და შეძლება მიეცეს მოგებიდან საკუთარ თანხების დაგროვებისა;

2. კრედიტები როგორც საბანკო, ისე სახელმწიფო-სამეურნეო ორგანოებისა შეთანხმებულ იქნას ვადებით საქონლის ტრიალის სისწრაფესთან; შემცირებულ იქნას ნასესხ თანხებზე პროცენტები და კომისია;

3. შემუშავდეს საკრედიტო გეგმა სახელმწიფო და საბანკო დაწესებულებებთან შეთანხმებით; განისაზღვროს ძირითად კოოპერატივებისთვის საკრედიტო ლიმიტი;

4. მოხდეს შეთანხმება და დაიდოს გენერალური ხელშეკრულებანი სახელმწიფო ტრესტებთან და მოგვარდეს დამოკიდებულება სახელმწიფო-სავაჭრო ორგანოებთან;

5. ძირითადი კოოპერატივების მიერ საბანკო კრედიტების სარგებლობის შესახებ გამომუშავება სათანადო წესებისა ბანკებთან შეთანხმებით, ამასთანავე სავალდებულოდ იქმნას მიღებული კოოპერატივების თამასუქებზე ჟიროს მიცემა იმ შემთხვევაში, თუ მიღებული თანხები მოხმარდება საქონლის შეძენას ცეკავშირის შუამავლობით;

6. დაევალოს გამგეობას მიიღოს ზომები ცეკავშირის ბალანსის გაჯანსაღების მხრივ შემდეგი საშუალებით:

ა) ზედმეტი ქონების, დარჩენილ საქონლის და წამოწყებათა (გარდა სტამბისა) საჩქარო რეალიზაციით; მოხდეს აგრეთვე ლიკვიდაცია თავის განყოფილებისა;

ბ) გაწმენდილ იქნას დებიტორების ანგარიშები: 1) უიმედო დებიტორების ჩამოწერით ზარალში, 2) ვალის განაღდებით და 3) პროლონგაციის მოხდენით განსაკუთრებით მოკავშირე კოოპერატივების დავალიანებისა იმ ვადებთან შეფარდებით, რომლებითაც მოხდება პროლონგაცია თვით ცეკავშირის ვალებისა;

გ) სრულიად შეწყდეს ღია ანგარიშებით საქონლის გაცემა, დ) ანგარიშ ვალდებულ პირთა დავალიანება გაიწმინდოს, ე) ცეკავშირის გამგეობამ მიიღოს გადამჭრელი ზომები, რომ მოკავშირეებმა ერთი თვის განმავლობაში შემოიტანონ ცეკავშირში საპაიო თანხა სრულად.

7. მტკიცე ოპერატიული გეგმის შედგენა და ამ გეგმის შესრულების თვალყურის დევნება სპეციალურ საგეგმო კომისიის მიერ საორგანიზაციო, სავაჭრო და საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენლობის შემადგენლობით; კერძოდ ოპერატიული გეგმა აშენებულ იქნას შემდეგი პრინციპებზე:

ა) საწყობის გარეშე—საკომისიო ოპერაციების წარმოების გაცხოველება;

ბ) საწყობის ოპერაციების განსაზღვრა მხოლოდ იმ საქონლით, რომელიც არ შედის გენერალურ ხელშეკრულებებში; ამ საქონლის მარაგის რაოდენობის განსაზღვრა და ტრიალის სისწრაფის შეთანხმება კრედიტების ვადებთან;

გ) დამზადების წარმოება მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულებით და სპეციალურ ავანსებით;

დ) ხარჯების მაქსიმალურად შემცირება და შეთანხმება მისი ბრუნვასთან,

ე) საერთოდ გადასინჯვა ოპერატიულ და ფინანსიურ განყოფილებათა შტატისა და შეთანხმება მათი ცეკავშირის ბრუნვებთან საშუალო დატვირთვის ნორმების მიხედვით,

ვ) მოკავშირე ორგანიზაციათა დავალებების თავის დროზე და უნაკლოდ შესასრულებლად სათანადო აპარატის შექმნა ცეკავშირთან.

8. ნორმალურ და გეგმიან მუშაობის ჩასატარებლად მიღებულ იქნა შემდეგი ღონისძიებანი:

ა) გამგეობის წევრთა რიცხვი განისაზღვროს 5 აქტიურად მომუშავე წევრით, სახელდობრ:

1. თავმჯდომარე, რომელსაც ეკისრება საერთო ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა,
2. თავმჯდომარის მოადგილე და იგივე საორგანიზაციო განყოფილების გამგე,
3. ფინანსიური და საორგანიზაციო განყოფილების გამგე,
4. სავაჭრო განყოფილების გამგე და
5. დამზადების ხელმძღვანელი.

ბ) გაღრმავდეს სარევიზიო კომისიის მეთვალყურეობა ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების მხრივ;

გ) საორგანიზაციო დარგში მიღებულ იქმნას შემდეგი ღონისძიებანი:

1. მიღებულ იქნას ზომები ინსტრუქტორთა კადრის საჭირო რაოდენობამდე ასაყვანად და მისი შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების მხრივ გასამეორებელ კურსების და კურს-ყრილობების მოწვევით, სპეციალურ ლიტერატურის მიწოდებით და აგრეთვე სამაგალითო-საჩვენებელ რევიზიების წარმოებით;

2. შინა ინსტრუქტორული ხელმძღვანელობა ცეკავშირის სამუშაო აპარატისა;

3. სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითად ქსელის გადასინჯვა-შესწავლა სამოქმედო რაიონების გამიჯვნის. კრედიტ-უნარიანობის და ლიკვიდურობის მხრივ, რაიც დაედება საფუძვლად ქსელის გაჯანსაღების ზომების გამომუშავებას;

4. მიღებულ იქნეს ზომები, რომ საკუთარი თანხების გადიდების მიზნით ძირითად კოოპერატივებში ჩატარებულ იქნეს სპეციალური კამპანია წევრებზე დარჩენილ საპაიო დავალიანების სრულად შემოსატანად ერთი წლის განმავლობაში.

5. კოოპერატიული პროპაგანდის გაცხოველება ადგილობრივ ლექციების და კურს-ყრილობების მოწყობა;

6. მუდმივ კოოპერატიულ კურსების დაარსება ქართულ ენაზე;

7. გამომცემლობის საერთოდ და კერძოდ ჟურნალ „კავშირი"-ს გაუმჯობესება და

8. სამეურნეო ინსტრუქტაჟის შემოღება მოკავშირე კოოპერატივებში.

მუშათა ცხოვრება

ვარ თუ არა ღირსი, ვიქნე დაზღვეული?
(შეკითხვა მედსანშრომის კავშირს).

მე ვმსახურობდი დ. სუჯუნის საექიმო პუნქტში ბებია-ქალად 1922 წლის 23 იანვრიდან წარსული წლის ოქტომბრამდე (მოწ. № 30591); ვარ კავშირის წევრი (წიგ. № 9443); ვიყავი დაზღვეული (ამავე წლიდან) (დაზ. კ. წ. № 873). წარსული წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ოჯახური მდგომარეობით იძულებული გადავედი ქ. ფოთში (ახალ. სენაკიდან) სამსახურში (ამავე დარგში) დადგომის მიზნით, მაგრამ ამ დღიდან დავრჩი უადგილოდ და უმუშევრად. გადმოსვლის დღესვე გამოვცხადდი ჩემ კავშირში—ქ. ფოთში. გამოცხადების მეორე დღიდან გავხდი ავად მალიარიით და სისხლნაკლულევანებით; ვიყავი ორსული ორი თვით, ავადმყოფობის გამო გამოწვეული იქნა ჩემში ხელოვნური მუცლის მოწყვეტა. საექიმო დახმარებას ვღებულობდი ექიმისაგან სახლში ექიმისაგან იანვრის ბოლო რიცხვებამდე, რაზედაც მაქვს ექიმის მიერ მოცემული სათანადო მოწმობა. საექიმო დახმარებას ვღებულობდი უფასოდ, როგორც ღარიბი. მაქვს სიღარიბის მოწმობა, ადგილობრივ მილიც. მიერ მოცემული (№ 1054).

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება—მე,როგორც ასეთ მდგომარეობაში მყოფს—ვარ თუ არა ღირსი დაზღვევისა და მეკუთვნის თუ არა თვიური დახმარება, როგორც უმუშევარს საერთო წესით?

ბებია-ქალი **ქსენია წერეთელი.**

ვისი ბრალია

ამ დღეებში შემხვდენ გზაზე ჭრა-კერვის მრეწველობის სამი მუშა. პირველი იყო მე-7-დე კატეგორიისა, მეორე მე-6-სი და მესამე მე-5-სი ჩემ შეკითხვაზე თუ რას იღებენ შრომის ხელფასს თითო „გიმნასტიორკის„ და ხალათის შეკერვაში, ერთმა მიპასუხა:—37 კაპეიკს და მაჩვენა ტალონი № 7.

—მე კი 33 კაპ.—მითხრა მეორემ და მაჩვენა ტალონი № 17.

— მე ვიღებ 29 კაპ.—მიპასუხა მე-5 კატეგორიიანმა და მაჩვენა ტალონი № 11.

— არ მესმის, ერთ და იმავე საქმეში რატომ გაძლევენ სხვადასხვა ფასებს.

— არ ვიცით, ჩვენ ვინ გვკითხავს ამას?!

— როგორ თუ ვინა? მაშ ვისი განკარგულებით არის ხელფასის ასეთი სხვადასხვაობა.

— არც ეგ ვიცით.

— კოლექტიური ხელშეკრულება ხომ გაქვთ?!

— გვაქვს.

— განა იქ განსაზღვრული არ არის ფასები?

— არ იქნება, რომ არ იყოს, მაგრამ შიშით ხმას ვინ ამოიღებს.

— რა არის აქ საშიში. მე მგონია მუშათა სამართლიანი მოთხოვნილების წინააღმდეგ არც დირექცია და არც ადგილკომი უნდა წავიდეს.

— საშიში ის არის, რომ თუ რომელიმე ჩვენთაგანი ხმას ამოიღებს, მაშინათვე იმას გზას უჩვენებენ კარისაკენ.

— დღეს ასეთი რამ ყოვლად შეუძლებელია, მაგის მოსაგვარებლად უნდა მიმართოთ შრომის ინსპექციას.

— გმადლობთ რჩევისათვის, ჩვენც ასე მოვიქცევით.

მუშკორი ამბალი.

ეს ნაკლიც გამოსასწორებელია
(რკ. გზ. სამმართველოს საყურადღებოდ)

ა.-კ. რკ. გზ. მთავარ საწყობში ყოველ დღიურად არის დანიშნული სამანევრო ორთქლმავალი, რომელიც მოდის დილის 10—11 საათზე სამუშაოდ,ხოლო გადის იგი დღის ორ საათზე, და ამ ხნის განმავლობაში ის ვერ ასწრებს ხშირად თავის სამუშაოს შესრულებას, და ეს სამუშაო გადადის მეორე, მესამე დღეზე, რის გამოც მუშებს უხდებათ მანევრის გაკეთება მუქთად, რომ ვაგონი იქნეს თავის გადმოსატვირთ თუ დასატვირთ ადგილზე დაყენებული, რაზედაც მუშას ეხარჯება მეტი ჯანი. ამასთანავე საწყობში მომუშავე ორთქლმავალზე მემანქანეები ძალიან მოურიდებლად ამუშავებენ ორთქლმავალს და თითქმის უყურადღებობა ემჩნევათ: ვაგონებს ისე სწევენ და აჯახებენ ერთმანეთს, თითქოს დაილეწაო; არც ერიდებიან იქვე ვაგონში მომუშავე მუშებს; არც საყვირით ცნობას იძლევიან, რომ მუშამ გაიგოს და მოერიდოს.

ასეთ საქციელმა შეიძლება უბედური შემთხვევაც მოგვიტანოს, როგორც ამასწინედ, წასულ თვეში, ვაგონის დაჯახებით 18 ფუთიან კასრს ქვეშ მოჰყვა მუშა, რომელსაც ფეხი მოსტყდა.

იმისათვის, რომ წარმოებამ უფრო აიწიოს, საჭიროა ორთქლმავალი მოდიოდეს იმ დროს, როდესაც მუშები მოვლენ სამუშაოზე. მემანქანეები იქნენ გაფრთხილებული მუშაობის დროს ჰქონდეთ თვალყური როგორც სამუშაოზე,აგრეთვე სახელმწიფო ქონებაზე, რადგან დაჯახებით ვაგონები იმტვრევა.

ამას საჭიროა ყურადღება მიაქციოს საგზაო კომიტეტმაც.

მუშკორი გვაზაურელი.

მიწა-ტყის კავშირის საყურადღებოდ

[illegible] რაიონში, შერემეტიევის ქ. № 46 არსებობს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო პუნქტი. ამ პუნქტის მსმენელები კავშირის წევრები არიან. მეცადინეობა უნდა იწყებოდის ხოლმე 5 საათზე და თავდებოდეს 7 საათზე, მაგრამ ფაქტიურად მეცადინეობა აქ იწყება 7½ საათზე და თავდება ან 9 ან 9½ საათზე.

მიზეზი ასეთი მეცადინ.-ისა ის არის, რომ მიწა-ტყის კავშირის წევრები, რომლებიც დიდუბის ბაღებში მუშაობენ, ძალიან იგვიანებენ და როდესაც მოდიან, სულ დაქანცულ, ღონე-მიხდილებს ლექციების მოსმენის უნარიც აღარ აქვთ. როდესაც გამოვირკვიეთ მათი დაგვიანების მიზეზი, აღმოჩნდა, რომ მათ არავინ ყურადღებას არ აქცევს. კავშირი და „ხაზეინები" როგორც უნდა ისე ამუშავებენ მათ. დილიდან მოყოლებული საღამომდის მათ გამოუდით სამუშაო დღე 14 საათი და ხანდახან 16-იც.

მიწა-ტყის კავშირო, მიაქციე ყურადღება ამ არანორმალობას .

ირაკლი შარიქაძე.

ვენერიული საავადმყოფოს შენობა დაამთავრეთ.
(ქალაღმასკომის და განათლების კომისარიატის საყურადღებოდ).

თბილისის ვენერიული საავადმყოფო-კლინიკა ჯერ-ჯერობით ერთადერთია მთელ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში. ამით აიხსნება, რომ ავადმყოფთა შორის აქ შეხვდებით ქართველსაც, რუსსაც, სომეხსაც, აზერბეიჯანელსაც და სხვა.

ვენერიული ავადმყოფობა ერთ-ერთ ძლიერ სოციალურ სენად ითვლება დღეს. იგი უმეტესად გავრცელებულია ხალხში და განსაკუთრებულ ზიანს აყენებს ღარიბ მოსახლეობას.

ასეთი გარემოება გათვალისწინებული აქვს ჩვენ ხელისუფლებას და იგიც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა სოციალურ სენებთან ბრძოლას. ასეთ სნეულებების ექიმობა დღეს ჩვენში სწარმოებს სრულიად უფასოდ.

ერთ ასეთ დაწესებულებად, სადაც სწარმოებს ვენერიულ სნეულებებთან ბრძოლა, ითვლება აღნიშნული საავადმყოფო-კლინიკა, რომელიც შესდგება ქალებისა და კაცების განყოფილებებიდან, აქვს ამბულატორია, აფთიაქი, საიდანაც ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ წამლებს და, ამასთანავე, როგორც კლინიკაში, მუშაობენ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები.

წვრილმანებს რომ თავი დავანებოთ, გვერდს ვერ ავუხვევთ ერთ მთავარ დაბრკოლებას, რომელიც აძნელებს საავადმყოფოში მუშაობას,—ეს არის უბინობა.

ეს საავადმყოფო მოთავსებულია ერთ ნაციონალიზაციაქმნილ სახლში, რომელსაც ძველად იყენებდენ საცხოვრებლად. რასაკვირველია, ასეთი შენობა საავადმყოფოსათვის არ გამოდგებოდა და კიდეც შეუდგენ მის გადაკეთებას ამ ორი წლის წინათ და დღეს იმდენათაა იგი გადაკეთებული, რომ იტევს მხოლოდ 50 ავადმყოფს (რომლებიც დაკავებულია), დანარჩენებს კი საავადმყოფო იძულებულია უარი უთხრას დასაწოლად მიღებაზე და ამის გამო ყოველ დღიურად თითქმის 5—8 ავადმყოფს უარით ისტუმრებენ. დანარჩენი ნაწილი საავადმყოფოს შენობისა დაწყებულია და იგი ჯერაც დაუმთავრებელია, ვინაიდან ქალაქის აღმასკომს საჭირო სახსარი აღარ აღმოაჩნდა.

აუცილებლად საჭიროა ეს შენობა ახლო მომავალში დაამთავროთ.

ტონა.

მუშათა ქრონიკა

მაკარონის ქარხანაში

— **ქალებს ეძლევათ დასვენება.** მაკარონის ქარხნის მუშა-ქალებს, რომელთაც ჰყავთ ქარხნის საბავშვო კერაში ძუძუ-მწოვარა ბავშვები, ეძლევათ ყოველ სამ საათში ნახევარ საათის დასვენება.

— **საწარმოო კომისიაში.** მაკარონის ქარხნის საწარმოო კომისიამ დაუშვებლად სცნო მანქანების ამუშავება, გაჩერება და მუშაობის დროს მიტოვება მექანიკის ნებადაურთველად.

გამოგზავნილ წერილებიდან

თათბირი აღმშენებლობის საკითხზე

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა მოწვეულ იქნეს თბილისში 3 აპრილისათვის ამიერ-კავკასიის თათბირი აღმშენებლობის საკითხზე. თათბირის დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები: 1) აღმშენებლობის მოწესრიგების შესახებ, 2) მუშაობის წარმოებისა და ნორმის შესახებ, 3) სააღმშენებლო საშუალებათა შესახებ, 4) სააღმშენებლო მასალის მოთხოვნილება, 5) აღმშენებლობის უზრუნველყოფა მუშა-ხელით, 6) სააღმშენებლო ორგანიზაციების შესახებ და 7) აღმშენებლობის ახალი მიღწევების შესახებ.

თათბირის მოსამზადებლად, ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიასთან დაარსდა საორგანიზაციო ბიურო.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სააღმშენებლო დარგის ყველა მსხვილი სპეციალისტები ამიერ-კავკასიაში. თათბირზე გაკეთებულ იქნება საგანგებო მოხსენებები მიღწევების შესახებ ელექტროფიკაციის კომუნალური მეურნეობის, ხიდების მშენებლობის, საგზაო მშენებლობის, ნავთსადგურთა მეურნეობის და მელიორაციის დარგებში.

ბრძოლა კონტრაბანდასთან

თბილისის საბაჟოს ცნობით უკანასკნელ დროს ადგილი აქვს ლეგალური კონტრაბანდის ერთ-ერთი სახის ფართედ განვითარებას, რაიც მდგომარეობს საზღვარ-გარეთიდან საქონლის ფოსტით გადმოგზავნაში.

შემჩნეულია ერთ და იმავე პირისაგან საქონლის გამოწერა 6—7 მისამართით. ხშირად თბილისის ვაჭრები იწერენ „პირად" მოხმარებისათვის ისეთ საგნებს, როგორიცაა პუდრი, დუხი, ძვირფასი ფეხსაცმელები და სხვ.

თუმცა ასეთი ამანათების ჩვეულებრივი ღირებულება არ აღემატება 35—50 მანეთს, მათი წონა კი 5—10 კილოს, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ასეთი სახის კონტრაბანდის ფართედ განვითარებას, დავინახავთ, რომ ის საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს ჩვენ საბაჟო ორგანოებს.

მიღებული ზომების მეოხებით უკანასკნელ დროს შემჩნეულია ასეთი არალეგალური კონტრაბანდის შემცირება.

რაც შეეხება საერთო კონტრაბანდას უნდა აღინიშნოს რომ ყოველდღე ადგილი აქვს კონტრაბანდის დაჭერის რამოდენიმე შემთხვევას. კონტრაბანდულათ შემოაქვთ შევიოტი, პუდრი, სამართებელი, ლაქის ტყავი, განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს საზღვრებთან მცხოვრები მოსახლეობა. კონტრაბანდა შემოაქვთ ათასგვარი საშუალებებით. ამას წინად კონტრაბანდა აღმოჩენილ იქნა კვერცხით სავსე ყუთში, რომელიც გამოგზავნილი იყო ახალციხიდან. თაფლის ბანკაში აღმოჩნდა სამართებლები, ფოტოგრაფიული ქაღალდი და სხვ.

3 თვის განმავლობაში თბილისის საბაჟომ დააკავა 60.000 მანეთის კონტრაბანდა.

ნ.

წითელ ჯარში

საკავშირო კომისიის მუშაობა
(1-ლი საარტილერიო ლეგიონი)

ლეგიონში საკავშირო კომისია ჩამოყალიბდა 1-ლ დეკემბერს. კომისიამ დაარსა ყველა ბატარეებში ცნობათა ბიუროები, სისტემატიურად აწყობდა ექსკურსიებს სხვადასხვა ქარხნებში, დაწესებულებებში და მუზეუმებში.

კომისიამ გაარჩია 163 წითელ-არმიელთა განცხადება; 109 წითელ-არმიელს მიეცა მოწმობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. აგრეთვე მიღებულ იქნა სათანადო ზომები წითელ-არმიელთა საჩივრების შესახებ, რომელნიც ეხებოდენ ტყის გაჩეხვას და სოფლის ადმინისტრაციის სხვადასხვა უკანონობას. გადაგზავნილი იქნა რამოდენიმე განცხადება მაზრის აღმასკომებთან, რომლებისგანაც მიღებულია დადებითი პასუხი წითელ-არმიელთა ოჯახებისთვის დახმარების აღმოსაჩენათ. კომისიის შუამდგომლობით რამოდენიმე წითელ-არმიელს მიეცა უფასოთ ხე-ტყის მასალა სახლის ასაშენებლად.

განზრახულია მოკლე ხანში კავშირის დაჭერა რომელიმე სოფელთან.

ე—ლი.

კავშირი სოფელთან
(მე-4-ე ლეგიონი)

მე-4-ე ლეგიონის ცხინვალის ასეულს აქვს აღებული შეფობა სოფ. ერეთზე. ასეული დიდ დახმარებას უწევს ხსენებულ სოფელს. მოწყობილია სამაგალითო სამხედრო კუთხე ადგილობრივ ქოხ-სამკითხველოსთან. სისტემატიურად იგზავნებიან ამხანაგები, რომელნიც გლეხობის შორის ატარებენ საუბრებს სხვადასხვა თემებზე. ასეული უწევს ხელმძღვანელობას ადგილობრივ პარტიულ და ახკომკავშირის ორგანიზაციებს. ხშირად ასეულის კომუჯრედის სხდომა იმართება სოფლად და მას ესწრებიან ადგილობრივი მცხოვრებნი და ეცნობიან საბჭოთა კავშირის ცხოვრებას და პარტიის პოლიტიკას.

ე—ნი.

ქრონიკა

მიწის ძვრა

◆ ა. წ. 18 მარტს, 17 საათზე, საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია კატასტროფიული მიწის ძვრა. კერა მდებარეობს თბილისიდან 1.500 კილომეტრის მანძილზე, ალბად, მცირე აზიის ნახევარ კუნძულის დასავლეთ ნაწილზე.

ცნობათა წიგნი

ახლო მომავალში გამოვა ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ-სავაჭრო პალატის მიერ გამოცემული დიდი ეკონომიური ცნობათა წიგნი, რომელშიაც თავმოყრილი იქნება ცნობების სპარსეთთან და ოსმალეთთან ჩვენი ვაჭრობის შესახებ. ცნობათა წიგნი „ვაჭრობა აღმოსავლეთთან" გამოდის ამხ. ლ. კ. გამყრელიძის რედაქტორობით.

საქართველოს მარგანეცი

ჭიათურაში დაიწყო მოლაპარაკება სამთომადნო მუშებსა და სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცის" ადმინისტრაციის შორის. მოლაპარაკების მიზანია ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადება.

გუთნების მიღება

„ზაკსელმაშმა" მიიღო „რუდოლფ საკის" სისტემის გუთნების ახალი პარტია 900 ცალის რაოდენობით.

მიღებულია ცნობა რომ ფორძონის 300 ტრაქტორი გამოგზავნილი ამერიკიდან ამიერ-კავკასიისათვის ბათომში მიღებულ იქნება მარტის ბოლოში. სხვადასხვა ორგანიზაციებმა „ზაკსელმაშს" უკვე დაუკვეთეს 200 ტრაქტორი.

თათბირი სამოქალაქო და საინჟინერო მშენებლობის შესახებ

15 აპრილს მოსკოვში იხსნება საკავშირო ყრილობა სამოქალაქო და საინჟენერო აღმშენებლობის საკითხებზე საგეგმო ორგანოების, ოპერატიულ სახ. კომისარიატების და სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობით. ამ ყრილობაზე 300 ადგილიდან ამიერ-კავკასიას აქვს 31 ადგილი. აქედან ამიერ-კავკასიის თვითეულ რესპუბლიკებზე მოდის 9 ადგილი, საოლქო ორგანოებზე 4 ადგილი.

საგადასახადო შეღავათი ახალქალაქის მცხოვრებლებს

ა.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, მიეცეს საგადასახადო შეღავათი ქ. ახალქალაქის მცხოვრებლებს მსგავსათ ქ. გორის მცხოვრებლებისა, აღნიშნულ ქალაქებს შეღავათი მიეცემათ 26—27 საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან.

თბ. აღმასკომში

◆ ცეცხლისმქრობელ რაზმის საჭიროებისთვის თბ. აღმ. ამ დღეებში საზღვარგარეთიდან მიიღებს წყალის საზიდ ავტომობილებს.

სოც. დაზღვევის სამმართველოში

◆ **მშობიარობის გამო** სოც. დაზღვევის სამმართველომ გასულ წელს დაზღვეულ მუშა-მოსამსახურე ქალებს აუნაზღაურა 60,072 გაცდენილი დღე.

◆ **დაზღვეულთათვის** საექიმო დახმარების გასაწევად მთელ რესპუბლიკაში გამოყოფილია 72 ამბულატორია.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

◆ ა.-კ. შინამრეწველობის კოოპერაციის რესპუბლიკანურმა ბიურომ დაადგინეს მიიღონ მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შინამრეწველობის ნაწარმოების გამოფენით.

◆ შვეციიდან მოსულ ცნობებით, შვეციის ყველა ფირმებმა გამოფენაზე გამოგზავნეს თავიანთ იარაღ-მანქანების ნიმუშები.

◆ **საექსკურსიო ბიურო.** გამოფენასთან ეწყობა საექსკურსიო ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს გამოფენის დასათვალიერებლად ჩამოსულ გლეხებს.

სხვადასხვა

◆ გლეხთა ცენტრალურ სახლში დღიდან მისი გახსნისა ღამე გაათია 11,259 გლეხმა.

◆ ა.-კ. პროფკავშირებში ამჟამად ითვლება 356 ათასი წევრი.

◆ საქ. ცაკმა დაამტკიცა ცაკთან არსებულ ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს დებულების პროექტი.

◆ **ფარმაცევტიული ჟურნალი.** გამოვიდა და იყიდება საქართველოს ფარმაცევტიული საზოგადოების ცენტრალურ გამგეობის ორგანო (სამეცნიერო და სალიტერატურო) ჟურნალი 1-ლი ნომერი.

კრებები და მოხსენებები

◆ **პლეხანოვის სახელობის კლუბში.** შაბათს, 20 მარტს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახ. კლუბში (ნაძალადევში) ქართულ ენაზე გაიმართება კამათი შემდეგ თემაზე: „ქორწინება, ოჯახი და მზრუნველობა".

◆ **ამხ. ს. გოდაბრელიძის ლექცია.** პლეხანოვის სახელობის კლუბში 22 მარტს მოხდება ლექცია ამხ. გოდაბრელიძის, ქართულ ენაზე შემდეგ თემაზედ: როგორ არიან მოწყობილი პროფკავშირები ს. ს. რ. კავშირში და რაზედ იხარჯება საწევრო ანარიცხი.

◆ **საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 21 მარტს, დღის 12 საათზე თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. ა. გულისაშვილი გააკეთებს მოხსენებას: „ამიერ-კავკასიის მსხვილი ლითონის მრეწველობის შესაძლებლობის შესახებ".

◆ **სრ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში**—კვირას, ა. წ. 14 მარტს, დილის 11 საათზე, წევრთა საზოგადო კრებაზე (ჯორჯიაშვილის ქ. № 5) მოხსენებას გააკეთებს სპეციალისტი ევსევი ბერიტაშვილი შემდეგ თემაზე: საკონსერვო მრეწველობის პერსპექტივები საქართველოში".

შემთხვევები

მკვლელობა სასტუმრო „ნოე"-ში

ხუთშაბათს საღამოს სასტუმრო „ნოე"-ში მოკლეს სიღნაღიდან ჩამოსული ელიკო მოსულიშვილი. მკვლელობის დაწვრილებითი ცნობები ასეთია:

18 მარტს სასტუმროში მოვიდა მოქ. ციხისთავი და დაიჭირა ოთახი № 72 მეორე სართულში; სასტუმროს მეკარეს მან გადასცა საბჭოთა მუშაკების კავშირის საწევრო წიგნაკი ბიქტორ ციხისთავის სახელზე.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ის გამოვიდა სასტუმროდან და დაბრუნდა საღამოს, ვიღაც ქალის თანხლებით.

საღამოს 10½ საათზე ციხისთავი გამოვიდა ოთახიდან და გაემართა გასავალ კარებისაკენ.

კიბეზე ის შეაჩერა სასტუმროს მსახურმა და სთხოვა ანგარიშის გასწორება. ციხისთავმა განაცხადა. რომ ის მიდის რამოდენიმე წუთით და ჩქარა დაბრუნდება.

ციხისთავი გავიდა სასტუმროდან. სასტუმროს მსახური კი გაემართა მის მიერ დაკავებულ ოთახისაკენ, სადაც მას საშინელი სურათი დახვდა. იატაკზე სისხლში იწვა მოკლული ახალგაზრდა ქალი, რომლის გვერდზე ეგდო სისხლში მოსვრილი „ბრაუნინგი" და რამოდენიმე ვაზნა. ერთი ტყვია ქალს მოხვედრილი ჰქონდა მარცხენა თვალში; ტყვიას გაუნგრევია თავის ქალა და გაჩერებულა კედელში.

ოთახის მოწყობილობა ამტკიცებდა, რომ მკვლელობის წინ იქ ადგილი ჰქონდა საშინელ ბრძოლას.

ჭურჭლეულობის დიდი ნაწილი დამსხვრეულია, იატაკზე ეგდო მამაკაცის დამტვრეული საათი და დახეული ქუდი მაგიდის ქვეშ.

ციხისთავს რევოლვერი უსვრია ორჯერ, მაგრამ სროლა არავის არ გაუგონია, გარდა მეზობელი ოთახის მდგმურებისა, რომლებსაც ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

მკვლელი დაპატიმრებული იქნა იმავე ღამეს, ტრამვაის შესახ. სახლი № 10.

ის ღამოჩნდა კურდღლაურის სათემო აღმასკომის კონტროლიორი ბიქტორ ციხისთავი.

[illegible] შვილი 22 წლისა; [illegible]

[illegible] ავტომობილი

[illegible] დილის 8 საათზე [illegible] კინო „პალასის" ახლოს სამგზავრო ავტომობილი რომელსაც მმართავდა შოფერი დავ. პაპაშვილი, დაეჯახა ტრამვაის № 2-ს გვერდიდან, დაჯახება იმდენად ძლიერი იყო რომ დაჯახების დროს დაიმტვრა რონოდის მესრები და მინები და დაშავდა 4 მგზავრი. რომლებიც სასწრაფოდ გადაგზავნილი იქნენ საავადმყოფოში. როგორც ირკვევა შოფერი ყოფილა მთვრალი. დაჯახების შემდეგ. შოფერმა მოაბრუნა უვნებლათ გადარჩენილი ავტომობილი და დააპირა წასვლა. მაგრამ იგი იქვე დააკავეს. ავტომობილი დატვირთული იყო ღვინოებით.

◆ **თავის დაჭრა.** რიყის ქ. 37 მელქისიდა წულიკიძემ განუკურნელ ავადმყოფობის გამო თვითმკვლელობის მიზნით დაიჭრა თავი. დაჭრილი გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

◆ **დაჭრა.** 16 მარტს საღამოს მე-2 საამშენებლო უბანში ბესარიონ გვასალიამ დანით დასჭრა მოქ. ალექსანდრე დაფქვიაშვილი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

◆ **შეპყრობა.** 17 მარტს შეიპყრეს ჯიბგირი ივანე ხატოვიში. რომელმაც უცნობ ქალს ჯიბიდან ამოაცალა 21 მ.

ამავე დღეს მცირეწლოვანი №-ის გაუპატიურებისათვის შეიპყრეს ილია საფაროვი.

ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს გლებ დიმონი.

◆ **ქურდობა.** 16 მარტს ცეტკინის ქუჩა № 1 გაქურდეს ალექსანდრე აირაპეტოვის ბინა.

18 მარტს კირკის ქუჩა №30 გაქურდეს ემელიან სუროვის ბინა.

15 მარტს ბებუთოვის ქ. № 48 ალექსანდრე კარალოვის ბინიდან მოიპარეს 150 მან. ნივთები.

ამავე დღეს ლენინის ქ. № 3 ანნა გუტმანის ბინიდან მოიპარეს 100 მან.

ამავე დღეს განოვის ქ. № 10 სოფიო აბრამოვის ბინა გაქურდა ანტონინა ბრაურიმ და მიიმალა.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი

„მზეთა-მზე"

პირველი ქართული პანტომიმა, დადგმული ქართული დრამატიული სტუდიის ძალებით, წარმოადგენს ახალ და საინტერესო ფურცელს ქართული თეატრის განვითარებაში. დადგმულია ის მარჯანიშვილის იდეით და ესკიზებით ახმატელის დახმარებით. პანტომიმის შინაარსი ლეგენდარულია და შლის მაყურებლის წინაშე აღმოსავლეთის ლამაზ და ფანტასტიურ ყოფა-ცხოვრებას.

აი პანტომიმის მოკლე შინაარსი: ახალგაზრდა ქართველი ქალი, რომლის სილამაზე განთქმულია მთელს აღმოსავლეთში და რომელსაც თავისი სილამაზისთვის უწოდებენ მზეთა-მზეს, ცოლად მიჰყვება ახალგაზრდა თენგიზს. ქორწილზე ესწრება თენგიზის უწინდელი საყვარელი—არაბის ქალი ფატმა, რომელიც ღალატისათვის ჰკლავს თენგიზს. მზეთა-მზეს სასოწარკვეთილებას საზღვარი აღარა აქვს. გაუბედურებულ მზეთა-მზეს ოჯახს თავს ესხმის ფატმას მიერ გამოგზავნილი არაბთა ჯარები—ხდება საერთო დარბევა, რომლის დროს ფატმა გაიტაცებს თენგიზის ცხედარს და შეინახავს ტყეში, სადაც სამკურნალო ბალახების და შელოცვის საშუალებით აცოცხლებს თენგიზს და სთხოვს მას დაივიწყოს მზეთა-მზე და დაუბრუნოს მას სიყვარული. თენგიზი მუდამ მზეთა-მზეზე ოცნებობს და მისკენ მიისწრაფვის, მიუხედავათ იმისა, რომ ფატმა ყოველგვარი საშუალებით ცდილობს დაავიწყოს მას მზეთა-მზე. ტყეში, სადაც იმყოფებიან ფატმა და თენგიზი, თავისი ჯარებით მიდის არაბთა პრინცი თემური, რომელსაც აგრეთვე უსაზღვროთ უყვარს მზეთა-მზე. გაიგებს რა ფატმასაგან, რომ აქვე ტყეში იმყოფება მისი ბედნიერი მოცილე თენგიზი, მრისხანებით აღსავსე თემური ჰკლავს თენგიზს. მზეთა-მზე კი წინანდებურად დასტირის უდროოთ დაღუპულ თენგიზს. მას მოეჩვენება მოკლული თენგიზის აჩრდილი, გადაუგდებს ხანჯალს, რომლითაც ის მოჰკლა თემურმა და მოუწოდებს შურისძიებისაკენ. ამის შემდეგ მოდიან თემურის მიერ გამოგზავნილი მეომრები და ძალით მიჰყავთ მზეთა-მზე თავის მბრძანებლისათვის. თემური სასოწარკვეთილებაში ვარდება ქალის გულგრილობით, ათხოვს მას სიყვარულს და არწმუნებს, რომ თუ უარი მიიღო, ის თავს მოიკლავს. თემურის უსაზღვრო სიყვარულით დაძლეული მზეთა-მზე თანხმდება მის წინადადებას, მაგრამ ამ დროს მას ისევ გამოეცხადება თენგიზის აჩრდილი და მოითხოვს შურისძიებას მისი მკვლელის წინააღმდეგ. სასოწარკვეთილებამდის მისული მზეთა-მზე ჰკლავს თემურს და თითონ გიჟდება.

პანტომიმის დადგმა სავსებით მხატვრულია. ძლიერ ლამაზია მასიური სურათები. კიდევ უფრო კარგია პლასტიკა, რიტმი და სინათლის ეფექტები. სცენაზე სასტიკი დისციპლინაა, მშვენივრად დამუშავებულია არა მარტო მთავარი როლები, არამედ სტატისტების როლებიც. მხატვრული ხელი სჩანს ყოველ დეტალებში, მხოლოდ თენგიზის აჩრდილის გამოცხადება უფრო ფანტასტიურად უნდა იქნეს დადგმული. დეკორაცია ლამაზია, მაგრამ არ შეიძლება ჩაითვალოს ზომიერათ აღმოსავლეთის ცხოვრების ფუტურისტული ჟანრით დადგმა (მარჯანიშვილის საყვარელი ჟანრი). სპექტაკლის ნაკლად უნდა ჩაითვალოს მუსიკა არასტილიური, ილიუსტრაციების და თითქმის მელოდიების გარეშეც. მუსიკა დაწერილია სხვადასხვა კომპოზიტორების—მასენის, იპოლიტოვ-ივანოვის, ფალიაშვილის და სხვ. დიდი ზეგავლენით. რამოდენიმედ მელოდიურია მხოლოდ პირველ აქტში თენგიზის გამოტირება. ცალკე შემსრულებლებს შორის უნდა აღინიშნოს თაყაიშვილი (ფატმა), რომელსაც ახასიათებს მშვენიერი პლასტიკა, მიმიკა და გრაცია. წულუკიძე (მზეთა-მზე) მაყურებელს იზიდავს გულწრფელი თამაშით, კარგია პლასტიკა, შეუფერებელია გრიმი. ორივე ლალიძე—თემური და თენგიზი ხელსაყრელ შთაბეჭდილებას სტოვებენ მაყურებელზე. ქართული სტუდიის ორკესტრი გველესიანის ხელმძღვანელობით თავის სიმაღლეზე სდგას, მაგრამ მუსიკის უშინაარსობის გამო მან განსაკუთრებული შთაბეჭდილება ვერ დასტოვა.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** დღეს, შაბათს, საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში გაიმართება ჩვეულებრივი ლიტერატურული შაბათობა. ასოციაციის წევრთათვის ამხ. დ. რონდელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ლიტერატურული რევოლიუცია და რეაქცია".

◆ **ავლაბრის მუსიკალურ სასწავლებელში** ორშაბათს, 22 მარტს, გაიმართება დახურული საჩვენებელი კონცერტი მოწაფეებისათვის ამავე სკოლის მასწავლებლების ძალებით.

◆ **წითელი თეატრი**—შაბათს, 20 მარტს—ეგ. ნინოშვილის „ჯანყი გურიაში".

— კვირას, 21 მარტს—ლერნერის ცნობილი ტრაღედია „ნიკოლოზ 1-ლი" (დეკაბრისტების შეთქმულების დამარცხება).

◆ **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ჰოფმანის ზღაპრები".

◆ **ძმ. ტანტების** გასტროლები 18 მარტს დაიწყო ცირკში.

◆ **„დეზერტირკა".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა".

◆ **მხედრული სიმღერები.** საქ. ცაკმა გადასწყვიტა გამოსცეს თაქთაქიშვილის მხედრული სიმღერების კრებული.

დღეს კინოებში

◆ აპოლო „ჯვარი და მაუზერი".
◆ არფასტო—„ნიბელუნგები".
◆ სოლეი—იგივე.
◆ ოდეონ—„ორი ობოლი".

საბჭოთა სასამართლო

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა საქმე.

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. კაჭარავას თავმჯდომარეობით, დაიწყო ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს მთავარ მოლარე ბაქრაძის, მთავარი ბუღალტერის ქავთარაძის, ბუღალტერის თანაშემწე გრიშაშვილის და მატერიალური ნაწილის გამგის მელიავას საქმის გარჩევა.

ყველა ჩამოთვლილ პირებს ბრალათ ედება სახაზინო ფულების გაფლანგვა.

ბრალს სდებს პროკურორი პავლიაშვილი, ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: დადიანი, გუბელაძე, დიდებულიძე, მ. ტატიშვილი, ა. ტატიშვილი და ქავთარაძე.

გამოწვეულია 21 მოწმე და ექსპერტები. საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით საქმე მდგომარეობს შემდეგში: წარსული წლის 14 იანვარს, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილ იქნა აღნიშნულ უწყების ბუღალტერიის რევიზია. რევიზიამ აღმოაჩინა მრავალი დეფექტები, რომელთა გამოსასწორებლად თანამშრომლებს მიეცათ სათანადო გაფრთხილება. გასული წლის 8 ივნისს, მოხდა აღნიშნულ უწყების განმეორებითი რევიზია და აღმოჩენილ იქნა მრავალი ბოროტ-მოქმედება: გაფლანგვა, ყოველდღიური ოპერაციების არასწორი წარმოება, შინაურულად ავანსების მიღება და სხვა.

მთავარ მოლარე ბაქრაძეს ბრალად ედება—9.237 მან. გაფლანგვა; მას აგრეთვე მიეთვისებია „კამვოლტრესტში" მოსამსახურეებისაგან შესატანი თანხა ჯამით—145 მან. 45 კაპ. ავანსად წაუღია სალაროდან—789 მან. და 95 კაპ. მთავარ ბუღალტერს ქავთარაძეს ბრალდება 2.600 მან. გაფლანგვა და სალარადან გამგის ნებადაურთველად ავანსის სახით 420 მან. მიღება, ბუღალტ. თანაშემწეს გრიშაშვილს ბრალი ედება 894 მან. გაფლანგვაში. მატერიალური ნაწილის გამგეს მელიავს ბრალდება—7.185 მან. გაფლანგვა. 5.000 მან. მითვისებაში წინასწარი ძიების ჩვენების დროს ბრალდებული გამოტყდა.

საღამოს სხდომაზე სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„დინამო"—„არსრაიონი"

ხუთშაბათს, 18 მარტს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა „დინამო"-ს და არსენალის რაიონის ფეხბურთელთა გუნდის ამხანაგური შეჯიბრება.

შეჯიბრის მსაჯი იყო ამხ. იოსავა.

„დინამო"-ს ამ შეჯიბრებაში აკლდა ერთი ძირითადი მოთამაშე—ანიკინი, რომელიც, როგორც ხუთშაბათის შეჯიბრებამ დაამტკიცა, მთავარი ძალა ყოფილა „დინამო"-ში. ამ მოთამაშის უყოლობა დიდ გავლენას ახდენდა დინამოელთა სიმტკიცეზე; განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას დამცველთა და ნახევრად დამცველთა შემადგენლობაზე, რომელიც, ვერ გრძნობდა რა ზურგში ძლიერ დამხმარეს, ხშირად მეტად სუსტად თამაშობდა.

ჩვეულებრივზე სუსტი იყო ამ დღეს თავდამსხმელთა შემადგენლობაც; არსენალის რაიონის გუნდის ნახევრად დამცველთა შემადგენლობა თავისი სიმტკიცით და გაბედული თამაშით გასაქანს არ აძლევდა „დინამო"-ს მარბებს და ამ უკანასკნელთა იერიშები უმეტეს შემთხვევაში არ სცილდებოდა არსრაიონის გუნდის შუალათა ხაზს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია არსენალის რაიონის გუნდის მოხდენილი და გაბედული თამაში. ეს გუნდი უკანასკნელი ხნის განმავლობაში საგრძნობლად განმტკიცდა და ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ გუნდის თვითეულმა ფეხბურთელმა მტკიცეთ შეითვისა კოლექტიური თამაშის მნიშვნელობა და არც ერთი მოთამაშე არ სცდილობს ინდივიდუალური გამოსვლებით ხელი შეუშალოს გუნდის საერთო ღონისძიებებს.

შეჯიბრების პირველი განყოფილება დაიწყო დინამოელთა შეტევით, რომელიც დიდხანს არ გაგრძელებულა; ჩქარა ბრძოლის ინიციატივა ხელთ იგდო „არსრაიონმა". რომელსაც ბოლომდე აღარ შეუწყვეტია შეტევა მოპირდაპირეზე.

შეჯიბრი გათავდა 1:1; ორივე ბურთი გატანილი იქნა თამაშის მეორე განყოფილებაში.

„დურუჯი"—„დინამო"

კვირას ლენინის სახელობის მოედანზე გაიმართება „დურუჯი"-ს და „დინამო"-ს ამხანაგური შეჯიბრება.

გუნდების შემადგენლობა ასეთია:

„დურუჯი": პაპკოვი, ფრუიძე, თაყაიშვილი, ქუთათელაძე, იმნაძე, ხევსურიანი, ნიკო ამბოკაძე, გუნია, ისიდორე თურქია, ვაჩნაძე და ქებაძე.

„დინამო": ცომაია, თედეევი, პიტერსკი, ბლანკმანი, ანიკინი, ვოლკოვი, ვახტანგ ამბოკაძე, იზიუმსკი, გალპერინი, ჟორდანია და ვლ. ცომაია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ზ. ბ. კაცენელსონის განთავისუფლებისა და ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ ამხ. ი. პ. პავლუნოვსკის დანიშვნის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს ამხ. ზინოვი ბორისის ძე კაცენელსონი ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეობის მოვალეობისაგან.

2. დანიშნულ იქნეს ამხ. ივანე პეტრეს ძე პავლუნოვსკი ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—
ალამალი-ოღლი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—
ა. შავერდოვი.

1926 წ. მარტის 19.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ტერკომის ც. ბ.-ის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, დანიშნული 18 მარტს, **გადადებულია** კვირისათვის (21 მარტი) დილ. 10 საათ.

სხდომა შესდგება—რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს მას.

პას. მგ. მდივანი. **ჰ. სვანიძე.**

კომკავშირის ქალაქის რაიკომი გაცნობებთ, რომ შაბათს ა. წ. 20 მარტს, დილის 4 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია ყველა პოლიტსკოლების ხელმძღვანელების და სტაროსტების თათბირი აგიტპროპებთან ერთად. ამისათვის წინადადება ეძლევათ ყველა ზემოაღნიშნულ ამხანაგებს, რათა გამოცხადდენ აღნიშნულ ადგილზე დაუგვიანებლად.

პოლიტ-გან. განყ. გამგე: **ზადიკაშვილი.**

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის საგიტ.-საპროპაგ. განყოფილება იუწყება, რომ კვირას, 21 მარტს, დილის 11 საათზე, რაიკომის აგიტ.-პროპ. მუშაკის კაბინეტში (პლეხ., 96), დანიშნულია მე-2 რაიონის ყველა პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა თათბირი.

ყველა ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი **ფანცულაია.**

შაბათს, 20 მარტს, საღამოს 5 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში გაიმართება ქალაქის რაიონის უჯრედთა აგიტ.-პროპ. ორგანიზაციების თათბირი.

ქალაქის რაიკომი.

კვირას, 21 მარტს, დილის 10 საათზე ქალაქის რაიკომის ბინაზე გაიმართება უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების ბიუროების თათბირი აღმასრულებელ ბიუროს და პროლეტსასამართლოს თბილისის ბიუროს ფრაქციების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1) პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში.

2) პარტიულ-ორგანიზაციული საკითხები.

ბიუროების, აღმასრულებელ ბიუროს და თბილისის ბიუროს ფრაქციების წევრთა დასწრება სავალდებულოა.

რაიკომის პასუხის-მგებელი მდივანი—**გობეჯიშვილი.**

შაბათს, 20 მარტს, საღამოს 5 საათზე მუშათა ახალი კლუბის შენობაში (სასახლის ქ. 5) გაიმართება კომპარტიის უჯრედთა მდივნების, მიმაგრებულ პარტიულების და კომკავშირის კომისიების თათბირი კომკავშირის უჯრედთა მდივნების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1) კომკავშირის უჯრედების პარტხელმძღვანელობის საკითხები.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი—**გობეჯიშვილი.**

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 20 მარტს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე (პლეხ., 96), გაიმართება მე-2 რაიონის მიმღებ კომისიის სხდომა.

მდივანი **ფანცულაია.**

დედა მარიამ დავითის ასული, და—თამარ ილიას ასული, ძმა—ალექსანდრე ილიას ძე ჯავახიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ საყვარელ და დაუვიწყარ

ნატალია ილია ჯავახიშვილის ასულის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას, 21 ამა მარტს, წლის წირვა და პანაშვიდი ნაშუადღევს 1 საათზე, წმ. ნიკოლოზის ვერის სასაფლაოზე. 1908 1—1

ბებია ანა, მამიდა ლიუბა, ბიძები ივანე, დიმიტრი და ნიკოლოზ უზნაძეები ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, **21 მარტს, დღის 1 საათზე,** მათთვის დაუვიწყარი

ქეთო უზნაძის

უდროოდ გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე, ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. 1861 1—1

ღრმეს მწუხარებაში მყოფნი მშობლები: პავლე ნიკოლოზის-ძე და მეუღლე ანა თეოფანეს ასული პატარა ქალი თინათი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 21 მარტს, მათთვის დაუვიწყარ

ქეთუშა უზნაძის

გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის სასაფლაოზე, დღის 1 საათზე. 1903 1—1

გულდამწვარი მეუღლე სანდრო ჩიკვაიძე; შვილები: ნადია ჯაფარიძისა მეუღლით გრიშათი და ვაჟით ოთარით, ვერიკო გერსამიასი მეუღლით ჭიჭიკოთი, მარგარიტა და თინა ჩიკვაიძეები და დები: ნუცა გიორგობიანისა შვილებით ლენათი და იულიათი, შვილიშვილებით გივითა და ელისოთი და სიძით ლადო ჯაფარიძით და, ოლია მაჭავარიანისა მეუღლით ილიკოთი და ვაჟებით დავითით, კოწიათი, და ირაკლით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 18 ამ თვეს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ონოფრე ბაქრაძის ასული

კატუშა ჩიკვაიძისა

დაკრძალვა ქ. ონში, კვირას 21 მარტს.

ღრმად დამწუხრებული მამა ვასილ ივანეს ძე ჩხაიძე მეუღლით და შვილებით: ნინა, ტატიანა და იურიკა,—აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი და საყვარელი შვილი და უკანასკნელების და (მე-2 კურსის მსმენელი)

ლუბა ვასილის ასული
ჩხაიძე

გამოსვენება კვირას, 21 მარტს, 12 საათზე, თხინვალის ქუჩა, № 20. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 1904 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვალია, შვილები მამია, დიმიტრი და ლიონია, გულდამწვარი დები—კეკელა და ქსენია თავიანთი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარ

ერასტო ზურაბის ძე
ლოლუას

გარდაცვალებიდან 40 დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 21 მარტს კვირას, 1 საათზე. პანაშვიდი გადახდილ იქნება თბილისში ნიკოლოზის ეკლესიაში და სოფელ ქვალონში მიცვალებულის საფლავზე. 1907 1—1

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო და გამგეობა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 19 ამა მარტს, დილის 6 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამგეობის წევრი, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გიორგი სიმონის ძე შვანიძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 936 1—1

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე დეკანოზი გიორგი, შვილები: ევგენი, ვარვარა, ნუცა და ოლღა, რძალი ნადეჟდა და სიძე [illegible] გუგუშვილნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 18 მარტს, ს. ეწერში (სუჯუნის თემში) გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი: პირველის მეუღლე, მეორეთა დედა, [illegible] დამთილი და უკანასკნელის სიდედრი

ეკატერინე ლუკას ასული
მიქაძე-გუგუშვილისა

1911 დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1

გულდამწვარი მეუღლე ტასო, შვილი სერიოჟა, ძმები: ბუღდანა, მიშა და მარტია აუწყებენ ყველა ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

არშაკა დარჩოს ძე აკრიზოვი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან: ავლაბარი, ხივნის შესახვევი № 5. კვირას, 21 მარტს, ნაშუადღევს 12 საათზე. სურპ-კარაპეტის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება ხოჯევანქის სასაფლაოზე. 1912 1—1

ნოე გლახუნის ძე სიხარულიძის

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის თავზე დიდუბის ეკლესიაში 20 მარტს, დღისით 12 საათზე იქნება გადახდილი პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ განსვენებულის მეუღლე მარიამ ივანეს ასული, შვილები: ვლადიმერი, ნოე და ტარიელი, ძმა ნესტორ გლახუნის ძე, რძალი ოლღა არჯევანის ასული და ძმისშვილები: მინადორა, ლუარსაბ, ემელიან, ეკატერინე, ქეთევან, მარგალიტა და ამირანი. 1—1

რუსთაველის თეატრი დღეს, 20 მარტს,

დეზერტირკა

კვირას, 21 მარტს,

ლამარა

ნ. 913 5—4

სახელმწიფო ოპერა დღეს, 20 მარტს,

ჰოფმანის ზღაპრები

21 მარტს, სანდრო ინაშვილის გასტროლი, დაისი

23 მარტს, ცნობილ ბანის გრიგორი პიროგოვის გასტროლი, ბორის გოდუნოვი

5—3 ნ. 927

წ ი თ ე ლ ი თ ე ა ტ რ ი

წითელი თეატრი შაბათს, 20 მარტს,

ეგ. ნინოშვილის

ჯანყი გურიაში

დადგმა ალ. წუწუნავასი

ადგილების ფასი სახალხოა

დასაწყისი სად. 8 საათზე

დასის ადმინისტრატორი **ნ. ჭანკვატაძე**

1—1 ნ. 930

წ ი თ ე ლ ი თ ე ა ტ რ ი

აპოლო
არფასტრო
სოლეი

სეზონის საუკეთესო სურათი

„ჯვარი და მაუზერი“

ანონსი სამშაბათიდან 23 მარტიდან „მისი ქმარი“

3 და 4 სერია

უკანასკნელი ორი დღე

„ნიბელუნგები“

ანონსი: არფასტრო—ორშაბათიდან „სისხლი და მტვერი“ სოლეი—სამშაბათიდან „კირპიჩიკი“

ჩქარა „ნათელა“.

0—14 ნ. 864

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო.
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ დაავადებათა ამ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 50—18

ექ. ი. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 საათ დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალებისა და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—2

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, გამოუგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეგვატყობინონ ქვითარის №, რომლითაც გამოწერილი აქვთ. მისამართების გამოცვლა იწვევს კანტორის მხრივ ზედმეტ ხარჯებს (მისამართების ხელმეორედ დაბეჭვდა, დაჭრა, ქაღალდი) და ამიტომ მათი (ხარჯების) დასაფარავათ მისამართების შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ კანტორაში 25 კ. (შეიძლება საფოსტო მარკებით), წინაამდეგ შემთხვევაში ამ გვარი წერილები უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

0—6 მთავარი კანტორა

საააქციონერო საზოგადოების

„პურის პროდუქტის“

„ХЛЕБОПРОДУКТ“

აჭარისტანის სააგენტო

ჰყიდის: ყველა ხარისხის ფქვილს, პურის საკვებავ მასალას ყოველნაირ ბრინჯს შაქარს ფხვნილს და რაფინადს სხვადასხვა გურლულს.

სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის შეღავათიანი პირობები და დაკლებული ფასები.

კანტორის მისამართი 25 მარტიდან—მე-3 ინტერნაციონალის და კარლ ლიბკნეხტის (ყოფილ მარინის და ერისთავის) ქუჩ. კუთხე. ყოფ. შაქრის ტრესტის შენობა. ლენინის ქ. № 30 | 32. ნ. 921 2—2

მალაკანთა კოოპერატივის

„მომხმარებელის“-ს

სალიკვიდაციო კომისია

აცხადებს, რომ კვირას, 21 მარტს, დილის 10 საათზე, ყოფილი უნივერსალური მაღაზიის შენობაში (რიყე, პეტრიწის მოედანი, № 12)

შესდგება —::— შესდგება

საჯარო ვაჭრობა

რომელითაც გაიყიდება სხვადასხვა სამეურნეო მოთხოვნილების საგნები: (სასწორები, კასრები, პურის საცხობის მოწყობილობა, ყუთები და სხვ.) და აგრეთვე სხვად ასხვა საბაკალეიო საქონლის ნაშთები.

1—1 ნ. 931 სალიკვიდაციო კომისია.

ამ დღეებში
კინო-თეატრებში
„აპოლო—არფასტო—სოლეი“
ახალი სურათი

საქართველოს კინო-მრეწველობის სააქც. საზოგადოების გამოცემა

„ნათელა“

(უტუ მიქავა)

ნათელა	ნატა ვაჩნაძე
უტუ მიქავა	ა. ხორავა
სიდუ	ა. ჭიჭაძე
ხიტი	ა. ჟორჟოლიანი
ჯანდო	მ. ჭიაურელი
ომერ ფაშა	ა. ანდრონიკაშვილი
ჩიჩუა	დ. ყიფიანი

რეჟისორი ნ. ი. ბეკ-ნაზაროვი

ოპერატ. ს. ი. ზაბოზლაევი

3—1 ნ. 933

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ ამა წლის ოცდა სამ მარტს, დღის თორმეტ საათზე ქ. ფოთში, თეატრი „კომეტა“-ს ბინაში მოწვეულია ამავე საზოგადოების წევრების

საგანგებო კრება

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების მდგომარეობის და მომავალი პერსპექტივების შესახებ.
2. საბჭოსი, მიმღები კომიტეტის, სარევიზიო კომისიის წევრების და გამგეობის შემადგენლობის, არჩევნები.

გამგეობის თავმჯდომარე ლ. ზოდელავა.

გამგეობის წევრნი: ხ. ხოშტარია.
ქ. ჟოჟუა.

1-1 ნ. 904

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—18

მოსკოვის საოქრომჭედლო
ამხანაგობის

„მიუტ“-ის
„МЮТ“

საოქრომჭედლო მაღაზია

თავისუფლების მოედანი № 3 ყოფილ „გრუზიუველირ“-ის შენობაში

გახსნება 22 მარტს

იყიდება დიდძალი სხვადასხვა ძვირფასი ნივთები

ქვები, მარგალიტი

გაყიდვა ნითუმად და ცალობით

ფასები კონკურენციის გარეშე

1—1 ქ. 1906

თბილისის კომუნალური

წყალსადენი

ამით აცხადებს აბონენტთა საყურადღებოდ, რომ პირველ ა/წ. აპრილიდან აბონენტთან ანგარიშის გასწორება გადადის ახალ სისტემაზე, რომლის მიხედვითაც ანგარიშები შედგენილი იქნებიან ადგილობრივ, ამისათვის აბონენტებს დაეგზავნება როგორც თებერვლის ისე მარტის თვის ანგარიშებიც რომელთა გადახდა სავალდებულოა დადგენილ 20—დღის განმავლობაში. ახალ სისტემაზე გადასულ ანგარიშების შედგენის წესი გამოცხადებულ იქნება დამატებით

კომუნალურ განყოფილების გამგე **ასრიევი**

1—1 ნ. 934

ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 24 მარტს 1926 წელს, შუა დღის 12 საათზე, ადგილობ. ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩაზე, დანიშნულია მეორე საჯარო ვაჭრობა ვლადიმერ სიმონის ძე ბერძენაძის ქვიტკირის სახლის—მდებარეს ამავე ქუჩაზე, აგებული საზოვი ნაკვეთ მიწაზე. მიწა ზომით სამოცი კვად. საჟენი შეფასებული 620 მანეთად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან შეძლეული ფასიდან შაქრის ტრესტის, სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილების და სხვა ვალის დასაკმაყოფილებლად. ყველა იმ პირმა ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. 10 % საწინდარი. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 932 1—1

ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 23 მარტს 1926 წელს, დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩაზე, უმემკვიდროდ გარდაცვალებულის იაკობ ფირანის ძის ტორაძის ხე-ტყის საწყობში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ხსენებული იაკობ ტორაძის აწერილი 20 იანვარს 1926 წელსა ქონების: 1) რვა საჟენი საშენებელი ქვის შეფას. 160 მანეთ., 2) ექვსი ათასი ნახმარი აგურის შეფას. 60 მანეთ., 3) ორმოცი ცალი კუთხის ქვების—შეფას. 40 მანეთ., 4) ას ოთხმოცდასამი ცალი წაბლის სვეტების—შეფას. 183 მანეთ. და სხვ. ედუკი ფირან ტორაძის ასულის კანდელაკის ვალის დასაკმაყოფილებლად, საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდ. ნ. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 932 1—1

ქ. თბილისის მე-8 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 22 მარტს 1926 წ. დღის 12 წ. საათზე სახლში № 8 შემახის ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის სარქის ლალაიანცის უძრავ ქონებას, რომელიც შესდგება ორ სართულიან სახლიდან შეფასებული 2000 მანეთად, ლუსიკ დანდუროვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 2 მარტს 1926 წ. თარიღით № 22026 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვისაც უნდა ყიდვა, უნდა წარმოადგინოს აღმასკომიდან ცნობა იმის შესახებ, რომ არც თითონ, არც მის ცოლს და არც შვილებს არ აქვთ უძრავი ქონება.

1905 1-1

საქართ. ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი
ბალანსი

აქტივი	1926 წ. 1-მარტისთვის	პასივი	
1. კასა და სახელდახელო ანგ—შები	119.553—21	1. ძირითადი კაპიტალი	1.504.086—70
2. საფასენი	45.869—41	2. სხვა კაპიტალი	83.490—33
3. საქონელი	16.885—70	3. სპეც. თანხ. სამიზნო კრედიტ.	1,152.641—68
4. განაღდება და სპეც. სახელდ. ანგ. თამას.	348.751—35	4. სესხები	2.277.748—00
5. სესხები საქონლის დაგირავებით	1.167.644—99	5. გადანაღდება და გადაგირავება	381.750—00
6. სამიზნო სესხები	3.261.944—08	6. ანაბარები და სახელდ. ანგარიშები	472.804—36
7. კორესპონდენტები	326.660—14	7. კორესპონდენტები	61.084—14
8. კლიენტები და კომიტენტები საქონლის ოპერაც. და სხვადასხვა პირნი	1.065.665—17	8. კლიენტები და კომიტენტები საქონლის ოპერაც. და სხვადასხვა პირნი	834.199—96
9. მონაწილეობა წარმოებებში	804.010—00	9. ანგარიში გამგეობასთან	1.232.976—59
10. ანგარიში განყოფილებებთან	1.191.063—82	10. სარგებელი და კომისია მიღებული და დარიცხული და სხვა შემოსავალი	172.216—24
11. ანგ. ცენტრ. სასოფლო-სამ. ბანკთან	63.530—46	11. სხვადასხვა პასივი	112.640—81
12. გაპროტესტებული თამასუქები და საეჭვო ვალები	138.588—35		
13. პროცენტები და კომისია დარიცხული და გადახდილი	56.036—74		
14. მიმდინარე ხარჯები	60.267—57		
15. სხვადასხვა აქტივი	219.166—82		
ბალანსი . . .	8.285.637—81	ბალანსი .	8.285.637—81

ს.ს.რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა: ვ. დუმბაძე,
მთავარი ბუხჰალტერი გ. ტოგონიძე.

1—1 ნ. 935

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 3—90 თვალის საავადმყოფო. 25—3

სათვალეების მორგება
უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

ექ. ვასილი ნიკიფორესძე
ჩუპრინინი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—3

ექიმი არსენ ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და გრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს, საღამოს 4—7 საათამდე. (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35 25—1

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი

ვენერიული სნეულ. და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამო 6—8 ნახ. საათამდე. პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ბამბის სახლის კლუბიდან). 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა) 49. ტელ. 4—82 25—13

დოქტორი გ. მეგრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების

წამლობა ხელოვნური მთის მზის სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23. 25—17

ექიმი ნ. ტურიაშვილი

სამშობიარო და ქალის სნეულებანი მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზოვის) ქუჩა № 22. 25—12.

პროფ. გრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება

მიღება სწარმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77 25—7

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხურ ბაზარი, № 3. გრეჩნის მიდამოს მეორე სახლი. 25—12

ექიმი ა. ხ. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბომ-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის-სქესობრივი სისუსტე, ტრიპერი) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე 25—17

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“, ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ, საღამოს 5-დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 22—3

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ, ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—25

ექიმი მ. ა. ლუკომსკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე [illegible] ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—7

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 3 25—1

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა). 25—7

ექიმი ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის 25—8

მედიცინის დოქ. ბ. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.** იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—7

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატექნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—17

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—17

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
კუჭ-ნაწლავის, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.

დილით 9—1 საათ, საღამოს 5—8 საათ. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8. 25—25

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა. მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38. 25—7

დაკარგა თამასუქი 143 მან. ხელმოწერილი თემ. ალმ. თავმჯდ. ს. აფხაზავას ვალდებულობა საუნახევარო შუშის, ბ. მოსიურაშვილის შუამდგომლობა უფასო პატენტის მიცემისათვის, მოწმობა ექ. შრომის უნარმოკლებულობის № 345, სიღარიბის მოწმობა № 89 ვასო მჭედლის სახელზე. ჩ. გ. 1890 1—1

დაკარგა საწევრო წიგნაკი № 1591 ივანე კონსტანტინეს ძე კარგარეთლის სახელზე. ჩ. გ. 1909 1—1

დაკარგა კომუნალური ბანკის ორი აქცია გაცემული ფოთის კომუნალური ბანკისაგან ზებუ ბირელაშვილის სახელზე ჩ. გ. 1—1 1913

დაკარგა ქ. ბ. საკანდიდატო ბილეთი № 11031 და სამხედრო სააღრიცხვო ფორმა № 1 ფატიმა ბათულ[illegible] მოისრაშვილის სახელზე ჩ. გ. 1—1 1915

გაუქმებულია

1925 წლ. 1 იანვრიდან მინდობილობის ბარათი № 5382, გაცემული დღერა ხანუმ ვეკილოვას მიერ ნაზიმ-ხან ახმედოვას სახელზე. 1—1 ქ. 1910

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68

ტირაჟი—25.543